საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 19 თებერვალი. 2016 წ. №32 (7924), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

ჩრდილოეთი ოსეთის მცხოვრებლებს სურდათ, საქართველოს შემადგენლობაში ყოფილიყვნენ

8



...არის იმედი, რომ ოსი ხალხი თანდათანობით მიხვდება, მისი მომავალი, სულიერადაც და მენტალურადაც, ახლოა ქართველებთან, საქართველოსთან. თუ აღდგება ოსების საქართველოს სახელმწიფოსთან ისტორიული ერთიანობა — ეს მხოლოდ სარგებელს მოუტანს ოს ხალხს, დაიცავს მის თვითმყოფადობას, საშუალებას მისცემს, განავითაროს თავისი უნიკალური კულტურა.

„ჩუმი“ ხმაური ეროვნული ბანკის გარშემო

3

ფრთხილად, საქართველო!

ნატო დაელოდება რუსეთის დასუსტებას, სანამ საქართველოს რაიმე კონკრეტულს შესთავაზებს...

გვესაუბრება ჯეიმსთაუნის ფონდის კავკასიის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის პროგრამის ხელმძღვანელი **მარგარიტა ასენოვა**.

— ქალბატონო მარგარიტა, ბუქარესტში მივიღეთ დაპირება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი მას შემდეგ, რაც სრულად შეასრულებს წევრობის კრიტერიუმებს. ნატოს ოფიციალური პირების განცხადებით, სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო ნატოს წევრობისთვის დადგენილ მოთხოვნებს პასუხობს, თუმცა შესასრულებელია მთელი რიგი სხვა კრიტერიუმებიც... თქვენი შეფასებით, რა სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს საქართველო სადღეისოდ და რა არის გასაკეთებელი უპირველესად?

9

სახელმწიფო ენის უცოდინარობა არ უნდა წავახალისოთ

6

ნუთუ ამით ვახალისებთ სოფელში ხალხის დამაგრებას, გლეხს საკუთარ მიწას რომ ვართმევთ?!

7

ჯეიმს აპატურაი:

ტერიტორიული კონფლიქტის მიუხედავად, საქართველო ნატოს წევრი მაინც გახდება და ამ მოსაზრებას ალიანსის ყველა წევრი იზიარებს. „2008 წლის კონფლიქტი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების საკითხს ართულებს. რა თქმა უნდა, ეს ხვალ არა, მაგრამ მაინც მოხდება“.

„ჩვენ ახლა ვმუშაობთ ჩვენი ურთიერთობის გაფართოებაზე და იმედი გვაქვს, რომ კონფლიქტი მალე გადაწყდება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით. ამჟამად ჩვენ ურთიერთობის გაღრმავებაზე ვმუშაობთ და საქართველოს ნატოში შესაძლო წევრობისთვის ვამზადებთ“.

თინათინ ხიდაშელი:



— ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ. ჩვენი ამოცანა, ოცნება, არ არის მაპის მიღება. მაპი „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია დღეს ჩვენს თავზე და მე ვფიქრობ, რომ ამ თემაზე საუბარი საერთოდ უნდა დავასრულოთ. თუმცა, ბუნებრივია, ვერავის აუკრძალავ საუბარს... ნებისმიერ ადამიანს, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ნებისმიერ სტუდიაში დავუჯდები და დავუმტკიცებ დოკუმენტურად, რომ არც ერთ ქვეყანას დედამიწის ზურგზე, ვისაც მაპი ჰქონია, ან დღეს აქვს, არა აქვს იმდენი ინსტრუმენტი, რაც საქართველოს აქვს ნატოსთან ურთიერთობაში. არა აქვს თანამშრომლობის იმდენი ტიპის ფორმატი, რამდენიც საქართველოს აქვს ნატოსთან ურთიერთობაში.

„სამშობლოდან“ გამოძევებულთა კიდევ ერთი შეძახილი

ნაციონალთაგან დარბეული „იბერიის“ ტელეარხის სამართლიანად აღდგენამ და დამნაშავეთა სამართალში მიცემამ სამართლიანობის აღდგენის იმედი გაგვიღვიძა იმ ათობით ჟურნალ-გაზეთის რედაქციას, რომლებიც უშუალოდ ბეჭდური მედიიის მოძულე სააკაშვილის ბრძანებით პოლიციამ 2007 წელს ძალადობრივად გამოგვაძევა გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან და ღია ცის ქვეშ დარჩენილნი დღემდე ველოდებით ახალი ხელისუფლებისგან დაპირებული სამართლიანობის აღდგენას!

მივმართავთ ქვეყნის მთავარ პროკურორს ბატონ ირაკლი შოთაძეს, რომ ჩვენი ბედითაც დროულად დაინტერესდეს და, ბოლოს და ბოლოს, საშველი დააყენოს ჩვენს გაუთავებელ მომთაბარეობას.

თუ უკვე გაყიდული „სამშობლოს“ დაბრუნება შეუძლებელია, იქნებ სამართალმა „სამშობლოს“ უკანონოდ მყიდველი მავანი ოლიგარქი აიძულოს, რომ უკანონოდვე გამოყრილ რედაქციებს რაღაც ფორმით აუნაზღაუროს გაუგონარი ძალადობით მიყენებული ზარალი!

პრესა, ანუ მეოთხე ხელისუფლება, ნამდვილად იმსახურებს დემოკრატიული სახელმწიფოს მხრიდან დროულ სამართლიან დამოკიდებულებას!

ამ მძიმე წუთებში საქართველო თანაუგრძნობს მეგობარ თურქ ხალხს

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით საქართველო გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოხატულებას.

პრეზიდენტმა თურქეთში, ქალაქ ანკარაში მომხდარი ტერორისტული აქტი დაგმო და დაღუპულთა ოჯახებს მიუსამძიმრა: „ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თურქეთში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის გამო, რომელსაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა. საქართველო გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოხატულებას და დგას საერთაშორისო საზოგადოების გვერდით მსოფლიოს ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ხალხი, ამ მძიმე წუთებში, თანაუგრძნობს მეგობარ თურქ ხალხს. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და მათ ახლობლებს“, — აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.

ანკარის ცენტრში, გენერალურ შტაბთან ახლოს დანაღმული მანქანა აფეთქდა. იმ დროს შენობასთან სამხედროებით სავსე ორი ავტობუსი იდგა და ორივეს ცეცხლი გაუჩნდა. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, დაღუპულია 28, ხოლო დაშავებულია 66 ადამიანი.

გიორგი კვირიკაშვილი თურქ ხალხს სამძიმარს უცხადებს

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მომხდარი ტერაქტის გამო, რომელსაც ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა. გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ ჩვენი მეგობარი ქვეყნის მთავრობას, თურქ ხალხს და ყველა ადამიანს, ვისთვისაც ტერორიზმი არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

მაქვს მტკიცე რწმენა იმისა, რომ ცივილიზებული მსოფლიო ერთიანი ძალებით შეძლებს, გაუმკლავდეს ამ უდიდეს ბოროტებას“, — აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

◎ ინფორმაცია

კენჭი ყველამ დამოუკიდებლად იყაროს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ „რესპუბლიკელებმა“ და „მრეწველებმა“ საპარლამენტო არჩევნებზე კენჭი დამოუკიდებლად უნდა იყაროონ. ამის შესახებ მან მმართველი კოალიციის ორ პარტიას შორის დაპირისპირების შეფასებისას განაცხადა. მისივე თქმით, ამ პარტიებს მხოლოდ პარლამენტში მოხვედრის სურვილი აერთიანებთ.

„ერთი გამოსავალია - კენჭი ყველამ დამოუკიდებლად იყაროს. ვისაც ერთმანეთის გარეშე პოლიტიკური ცხოვრება არ შეუძლია, მერე ერთად დაწყვილდნენ და ის მანდატები მშვიდობაში მოახმაროთ, რომელსაც მოსახლეობა მისცემთ. ამ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებთ მხოლოდ ერთი რამ - პარლამენტში მოხვედრის გარანტია. აქედან გამომდინარე, მერე თავს შეუთავსებლობა იჩენს, რაც აზიანებს არამხოლოდ კოალიციას, არამედ ქვეყნის ინტერესებსაც“, — დასძინა მეჭიაურმა.

„რესპუბლიკელები“ და „მრეწველები“ ერთმანეთს გუშინდელ პლენარულ სხდომაზეც დაუპირისპირდნენ. დავით ბერძენიშვილმა გოგი თოფაძე თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის წინააღმდეგ „ორკესტრირებულ კამპანიაში“ დაადანაშაულა.

„თოფაძის მოქმედება კაცურიცაა, ვაჟკაცურიც და დასაფასებელიც“

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელზე, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის გოგი თოფაძის განცხადებებს ეხმაურება.

მისი თქმით, საგარეჯოს არჩევნები გაყალბდა. და ეს იცის ყველამ, მათ შორის გია ვოლსკიმაც.

„მეტს გეტყვით, გარდაბანში, სპეცუბანზე თინა ხიდაშელმა კვლავ გააყალბა შედეგები და ხმები მისთვის სასურველი პროპორციით გაანაწილა. მოკლედ, კვლავ შეგვაყარა თვალში ნაცარი. ამაზე ბევრი მითქვამს და ახლა აღარ ვილაპარაკებ. არჩევნების გაყალბება უმძიმესი დანაშაულია. გამყალბებელი ამაზე პასუხს აუცილებლად აგებს. მესმის, რომ ვოლსკი უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერია და უმრავლესობის მუნდირს იცავს, მაგრამ ტყუილის დაცვა არც სიკეთეა და არც ვაჟკაცობა. მინდა, ეს გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ბატონმა ვოლსკიმ. გოგი თოფაძის ქმედება კი კაცურიცაა, ვაჟკაცურიც და დასაფასებელიც.

ჰააგის სასამართლო მოწმეთა დაცვის პროგრამას გვპირდება

ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ოფისის წარმომადგენელი ფაქისო მოჩოჩოკო მოწმეებს საფრთხის შემთხვევაში მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩართვის პირობას აძლევს.

„ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც დაემუქრება საშიშროება, შეუძლია მიმართოს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს და მოითხოვოს დაცვა. საკმარისია, მოგვმართონ, ჩვენ შევისწავლით რა სახის მუქარა არსებობს, რის შემდეგაც შეგვიძლია მოწმეთა დაცვის სხვადასხვა მეთოდი გამოვიყენოთ. მოწმეებს არაფრის უნდა შეეშინდეთ იმის გამო, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობენ“, — განაცხადა მოჩოჩოკომ.

მისი განმარტებით, მოწმეთა დაცვის პროგრამა 2 ელემენტისგან შედგება და ითვალისწინებს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დაცვას, ასევე უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მოწმისთვის ადგილსამყოფელის შეცვლა ქვეყნის შიგნით, ან მის საზღვრებს გარეთ.

ხაჯიმბა „იმპერატორს“ ეახლა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას შეხვდა.

რუსული მედიის ცნობით, პუტინმა განაცხადა, რომ ორმხრივი ურთიერთობა ყველა მიმართულებით ვითარდება, მათ შორის ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში.

„ზედმეტია საუბარი ჩვენი ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე. ეს ურთიერთობა ვითარდება. ალბათ არის საკითხები, რომელიც ცალკე განხილვას საჭიროებს“, — განაცხადა პუტინმა.

რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარება ინტენსიურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

◎ ჩემი შენ გითხარიო...

რას უპირებენ აფხაზები თავიანთ ქართველურ გვარებს?!

ქალბატონი ალისა უცნაურობათა ქვეყანაში კი არა, აბსურდულ სიტუაციაში მოხვდა

„მალე სამოქალაქო პასპორტების შეცვლის პროცესი დაიწყება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ბევრ მოქალაქეს კიდევ ერთი შანსი ეძლევა, დაიბრუნოს ძირძველი გვარი, რომელიც ქართველურ ყაიდაზე საბჭოთა პერიოდში შეიცვალა. მეცნიერები სწავლობენ ამ საკითხს და არსებობს კიდეც 500-ზე მეტი გვარის სია მათი სწორი ტრანსკრიპციით. მაგრამ თავად შეცვლილი გვარების მატარებლები ისტორიული სამართლიანობის აღდგენას არ ჩქარობენ“ — იუწყება ინტერნეტ-პორტალი „სუხუმ-მოსკვა“.

„როგორ იწერება და წარმოითქმის სწორად აფხაზური გვარები მშობლიურ ენაზე? — ამ საკითხზე ფილოლოგები მრავალი წლის მანძილზე მუშაობენ. საკითხი განსაკუთებით აქტუალურია ახლა — რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის ახალი პასპორტების გაცემის პროცესის დაწყების წინ. ამ ეტაპზე აუცილებელია, დადგინდეს აფხაზურ ენაზე გვარების მართლწერის მეცნიერულად დადასტურებული ფორმა“ — წერს სტატიის ავტორი ალისა არგუნი.

იგი ამცნობს მკითხველს, რომ „როგორც ყველამ ვიცით ისტორიიდან, დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში აფხაზური გვარები ქართულ ყაიდაზე გადაკეთდა და ამა თუ იმ მიზეზებით აფხაზები ვერ შეეწინააღმდეგნენ ამ პროცესს და შეეგუენ“, თუმცა, ამ მიზეზებს არ აკონკრეტებს.

„იმ დროს აფხაზები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რაში გადაიზრდებოდა ეს ყველაფერი, ახლა კი ეს საბაბია ჩვენი ოპონენტებისთვის, ამტკიცონ, რომ ქართული ცრუ თეორია ერთიანი ეთნიკური წარმომავლობისა და აფხაზებისა და ქართველების გენეტიკური კავშირების შესახებ სწორია. რა თქმა უნდა, ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ დიდი დრო გავიდა. წარსულის შეცდომების გამოსწორება დიდი ხნით ადრეც შეიძლებოდა, თუმცა, ახლა არ არსებობს არანაირი დაბრკოლება, რომ ზოგიერთ აფხაზურ გვარს ისტორიული ჟღერადობა დაუბრუნდეს. 500 ძირძველი აფხაზური გვარის მართლწერის პროექტი ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტმა მთავრობას წარუდგინა, მედიასაც გაცნო“ — წერს არგუნი.

ავტორისვე მტკიცებით, „ომის შემდეგ ბევრმა, განსაკუთრებით კი გალის რაიონის მაცხოვრებლებმა მიმართეს ჰუმანიტარული კვლევების აფხაზურ ინსტიტუტს, რათა დადგენილიყო მათი გვარების ნამდვილი, ძირძველი დამწერლობა“.

ფაქტია, თანაც საკმაოდ ხშირი, როდესაც ერთი და იგივე გვარის მატარებლები მას განსხვავებულად წერენ და წარმოთქვამენ. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ეს ენის ყველა ნორმას ეწინააღმდეგება და ისტორიას ამახინჯებს. დროთა განმავლობაში შეუძლებელი გახდება იმის დადასტურება, არიან თუ არა მკვიდრი ძმები ერთმანეთის ნათესავები, თუ უბრალოდ მოგვარეები და სხვა არაფერი. მაშინ რატომ არ იჩენს მოსახლეობის უმრავლესობა ინიციატივას? ხომ არსებობს უამრავი გვარი, რომელიც გადაკეთდა და ჟღერს არა აფხაზურად, არამედ ქართულად: არგუნი-არღუნია, აბრისკილიბულისკერია, ბასნიკ-იპა — სიჭინავა, კეხირ-იპა — ბენია.... და ასეთი მაგალითი უამრავია.

როგორ ავუხსნათ ქართველებს ან სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომ აქ არ არის არანაირი ქართველური წარმომავლობა?“ — ეკითხება მკითხველს ავტორი.

მისივე ვარაუდით, „შესაძლოა, მოქალაქეებში ინიციატივის არარსებობას მარტივი ახსნა ჰქონდეს: არსურვილი, აქეთ-იქით ირბინონ ცნობებითა და განაცხადებით, თანაც — ჩვევა: ასე აეწყო, რომ ხალხი ცვლილებებს ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება, ისეთსაც კი, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს“.

„მეცნიერების წინაშე არ დგას ამოცანა, შეცვალონ გვარები. საუბარია მათ მართლწერაზე. რა თქმა უნდა, არა ყველა გვარზე, არამედ მხოლოდ იმათზე, რომელიც „გადააქართველეს“. ენათმცოდნეებს მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა შეუძლიათ აფხაზური გვარების აფხაზურ ენაზე მართლწერასთან და რუსულზე მათ ტრანსკრიპციასთან დაკავშირებით. ჩვენ მომავალ თაობებამდე უნდა მივიტანოთ ისტორიულად და მეცნიერულად დასაბუთებული გვარები: „მოლაპარაკე გვარები“, რომელთა ჟღერადობაც იმეტყველებს მათ წარმომავლობაზე“ — განუმარტავს იგი მკითხველს და იქვე დასძენს, რომ ახლა ჯერი ამ გვარების მატარებლებზეა. მათ თავად უნდა გააკეთონ არჩევანი — დაუბრუნონ საკუთარ გვარებს ძირძველი ჟღერადობა და მართლწერა, თუ დატოვონ ყველაფერი, როგორც იყო დღემდე.

„ჩუმი“ ხმაური ეროვნული ბანკის გარშემო

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის შვიდწლიანი მუშაობის შემაჯამებელი ანგარიშის მოსმენაზე უარი თქვა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა, ჩვეულ სტილში, ხელისუფლების მიმართ ერთგვარი დემარში მოაწყო და ქვეყნის №1 ბანკირს ტრიბუნა დაუთმო. ბატონ ქადაგიძის საჯარო გამოსვლამდეც, თუნდაც ლარის რეკორდული გაუფასურების პირობებში, საზოგადოებისთვის ისედაც სავსებით ცხადი იყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის ის, თუ ვინ უხელმძღვანელებს ქვეყნის ეროვნულ ბანკს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. ეს ასე კია, მაგრამ, დაგვერწმუნებით, ქვეყანაში, სადაც „მთავარი ბანკირი“ მოწოდების სიმაღლეზეა, მისი ვინაობა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის უცნობია...

ასეა თუ ისე, ბატონ ქადაგიძის სატელევიზიო გამოსვლამ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე, რომელიც მას მომდევნო შვიდი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, რაც მისი პერსონისადმი გამძაფრებულ საზოგადოებრივ ინტერესს განაპირობებს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, შვიდი წლის ვადით არჩეული ხუთწევრიანი საბჭო მისი უმაღლესი ორგანოა. ისინი ეკონომისტები ან/და ფინანსების დარგში სპეციალისტები და პატიოსნებით გამორჩეული პირები უნდა იყვნენ. საბჭოს წევრობის კანდიდატებს პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს, მათი დამტკიცება ხმათა უმრავლესობით (76 ხმით) ხდება. ისინი კი, თავის მხრივ, პრეზიდენტს ირჩევენ.

როგორც ცნობილია, სებ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე გიორგი ქადაგიძის ყოფნის ვადა 25 თებერვალს იწურება, ამდენად დღის წესრიგში მისი შემცვლელის ვინაობის დადგენაა. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის გადწყვეტილებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატად იგი დეპუტატებს **კობა გვენეტაძეს** წარუდგენს. იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მას ამ თანამდებობაზე დაამტკიცებს, მისი საბჭო ბატონ გვენეტაძეს მოუსმენს, ამის თაობაზე შესაბამის დასკვნას გამოიტანს და საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს გადაუგზავნის, რომელიც შემდგომ საკითხს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გაიტანს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს სხვა ვარიანტიც. იმის გამო, რომ ეროვნული ბანკის კიდევ ორ წევრს უფლებამოსილების ვადა უახლოეს ხანებში ეწურება, მისი ახალი პრეზიდენტის არჩევნები შესაძლოა, ახალი წევრებით შევსებამდე გადაიდოს, მანამდე კი, წლის მიწურულამდე, სებ-ის დროებითი ხელმძღვანელობა ვიცე-პრეზიდენტ **არჩილ მესტვირიშვილს** დაეკისროს.

საგულისხმოა ისიც, რომ სებ-ის საბჭოს წევრებს, მათ შორის, ცხადია, გიორგი ქადაგიძეს, ვადის ამოწურვის, ანუ 2016 წლის 25 თებერვლის შემდეგ, ექვსი თვის მანძილზე **ხელფასი უნარჩუნდება.** ამის მიზეზად კი, კანონში აღნიშნულია, რომ საქართველოს სხვა საბანკო ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებში მუშაობა მას სწორედ ამ ვადით ეკრძალება.

არსებული ინფორმაციით, სებ-ის მომავალი პრეზიდენტის კობა გვენეტაძის კანდიდატურა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასახელებულ რამდენიმე კანდიდატს შორის შეარჩია, რომელთა მიმართ წაყენებული მოთხოვნებს შორის უმთავრესი იყო **პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია, ასევე პოლიტიკური მიუკერძოებლობა.** ასეთ მიდგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ სებ-ის საბჭოს წევრები არიან უფლებამოსილნი სავალუტო რეზერვების მართვასა და საბანკო პროცედურებზე, განსაზღვრონ სხვა ქვეყნის ვალუტებისადმი ლარის გაცვლითი კურსის დადგენის წესი, უზრუნველყონ სპეცდანიშნულების სარეზერვო ფონდების ფორმირება და სხვ.

სებ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ჯერ ყველა შერჩეული პრეტენდენტის პროგრამის და სამოქმედო გეგმების განხილვა და საუკეთესოს შემდეგ შერჩევა, თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

იმას, რომ სებ-ის საბჭოს წევრები უმაღლესი რანგის პროფესიონალები უნდა იყვნენ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. არადა, წინა წლებში ექსპერტების პრეტენზიები მათ მიმართ სწორედ ამ მიზეზით გამოითქმებოდა. საქმე ისაა, რომ ამჟამად საბჭოს ორი წევრი განათლებით.... იურისტია, აქტიური საბანკო-საფინანსო საქმიანობა, მათ, უმთავრესად, ასეთ უაღრესად პასუხისმგებელ თანამდებობაზე მოხვედრის შემდეგ დაიწყეს. ბუნებრივია, რომ მრავალ სხვა არგუმენტთან ერთად, ეს გარემოება იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ, რომლის გამო მათ, როგორც თავად სებ-ი ასევე, პრეზიდენტი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ პირებად აღიქმებოდნენ. ამის დამადასტურებელი საბუთების მოსაძებნად არც შორსაა წასვლა საჭირო — საკმარისია თუნდაც ბადრი პატარკაციშვილის „სტანდარტ ბანკისა“ და ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკის“ გაკოტრებასთან დაკავშირებული ამბების გახსენება. თანაც ბატონ ქადაგიძის ახლო ნათესავია საბჭოს წევრი ბატონი ჭანყარაშვილი.

რაც შეეხება თავად ბატონ გვენეტაძეს, თუ რამდენად რეალურია მისი სებ-ის საბჭოს წევრად დამტკიცება, ძნელი სათქმელია, რადგან მის მოღვაწეობაზე არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლები არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ამდენად მათი საერთო აზრი, როგორც ჩანს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გამოხატა: „კობა გვენეტაძეს არ ვიცნობ და, შესაბამისად, კომენტარს ვერ გავაკეთებ“. ასევე არ იცნობენ მას პარლამენტის უმრავლესობის ფრაქციის წევრები, შესაბამისად, არც ის იციან, დაუჭერენ თუ არა მხარს.

ოთარ ტურაბელიძე

ინფორმაცია თემაში

კობა გვენეტაძემ ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ვაშინგტონის ამერიკის უნივერსიტეტში მოიპოვა, იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდიანტი.

1989-1994 წლებში მოიპოვა ფინანსებისა და საკრედიტო სფეროს ბაკალავრის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1994-1996 წლებში იყო სებ-ის მთავარი ეკონომისტი, 1996-1998 წლებში კი საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლობის ეკონომისტი.

2000-2002 წლებში იკავებდა ჯერ საქართველოს ფინანსთა, შემდგომ სახელმწიფო მინისტრების მოადგილის თანამდებობებს.

2002-2015 წლებში იგი ვაშინგტონში სსფ-ის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო შარშანდელი ნოემბრიდან მოყოლებული კომპანია „გალტ ენდ თაგარტის ეკონომიკის“ საკითხებში მრჩეველია.

◎ განსჯა

პენიტენციური სექტორით პირველ ადგილზე ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში

„ალმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ციხის გადატვირთულობის პრობლემები და მათზე რეაგირება“ ამ სახელწოდებით კონფერენციაზე 4 ქვეყანაში — საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვასა და სომხეთში პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებას განიხილავენ.

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა კახა კახიშვილმა განაცხადა, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული ვითარება გაუმჯობესებულია.

„წლების განმავლობაში, 2012 წლიდან ჩვენი სექტორის ინტენსიური რეფორმირება ხდება და ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამიტომ, ჩვენ ჩვენს კოლეგებთან ერთად ვინაიდან გვაქვს, ფაქტობრივად, ერთნაირი პრობლემები, განვიხილავთ კონკრეტულად ციხეების გადატვირთულობის პრობლემას და ამავდროულად ამ დარგის რეფორმირებას“, — განაცხადა კახა კახიშვილმა.

მიუსაფარ ბავშვებზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო აიღებს

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვა დაიწყო, რომელიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად განხორციელდა. კანონპროექტი დეპუტატებს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ წარუდგინა.

„ამ პაკეტის მიზანია, რომ ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ან მუშაობენ ქუჩაში, გამოვტაცოთ ქუჩას. აქედან გამომდინარე, შედის ცვლილებები იმისათვის, რომ ამ ბავშვებზე გავრცელდეს სახელმწიფო დახმარების პროგრამები, რომლებიც არსებობს სხვა მოწყვლადი ჯგუფების სასარგებლოდ; რომ მათ შეძლონ დოკუმენტების, პირადობის მოწმობების აღება; რომ ძალადობის შემთხვევაში ისინი გამოცალკევებულ იქნენ მშობლებისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლებისგან ან, უბრალოდ, სხვა გარეშე პირებისგან, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ ამ ბავშვებზე. კანონის მიზანი არის ის, რომ მიუსაფარ ბავშვებზე პასუხისმგებლობა აიღოს სახელმწიფომ“, — განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

კანონპროექტს შემოაქვს ცნება „მიუსაფარი ბავშვი“, რაც შესაბამის სტრუქტურებს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ ობოლი, უსახლკარო, არამედ უგულებელყოფილი მსხვერპლი ბავშვიც დაიცვას. ახლებურად რეგულირდება მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის პროცესი და უფრო ქმედითი ხდება არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები.

ასეთი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოს ეძლევა უფლება, მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიუსაფარი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის გაცემის თხოვნით. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ბავშვის მშობელსა და მეურვეს აქვთ. ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივის თანახმად, მიუსაფარ ბავშვებზე დოკუმენტები უფასოდ გაიცემა; დოკუმენტაციის მოწესრიგების შემდგომ კი მათ საშუალება ექნებათ, მიიღონ განათლება, შემწეობა და ჩაერთონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში.

ცვლილებები უფრო ქმედითს ხდის არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმებს.

მოქმედი კანონმდებლობა ბავშვს იცავს მოძალადე ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. შეთავაზებული ცვლილებით, შესაძლებელი ხდება არასრულწლოვნის დაცვა გარეშე პირის ძალადობისგანაც. კანონში შემოდის „სხვა პირის“ ცნება, რომელიც შესაძლოა, ძალადობდეს მოზარდზე. ამ ცვლილების მიზეზი ის გარემოებაა, რომ ხშირად შეუძლებელია დადგენა, კონკრეტულად, ვინ ძალადობს მიუსაფარ ბავშვზე. კანონპროექტის მიღების შემდეგ სოციალური მუშაკი შეძლებს, დაეხმაროს ბავშვს მის მიმართ ნებისმიერი პირისგან განხორციელებული ძალადობის ან უგულებელყოფის შემთხვევაში.

სიმდიდრეს, რომელიც წყალმა უნდა მოგვიტანოს, წყალსვე ნუ ვატანთ!



მუდამ უნდა გვახსოვდეს თუ როგორ დააზარალა, ჩვენი აღმოსავლეთ რეგიონის საზღვრისპირა ძირძველი სტრატეგიული მნიშვნელობის ჰერეთის სოფლები წინა ხელისუფლებების გაუაზრებელმა დამღუპველმა პოლიტიკამ. სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვით დღევანდელი პოლოტიკური მმართველი გუნდის, ამ მიმართულებით საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე. კარგია, მთის კანონი რომ მივიღეთ, ეს მართლაც წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია ქართული ოცნების მიერ, მაგრამ ის მცირე თანხები, რომელიც განსაზღვრულია ამ ტიპის რეგიონებისთვის, სანამ ჰერეთის მსგავს სოფლებამდე მიაღწევს, თუნდაც მისასვლელი გზების მშენებლობისთვის საჭირო დაფინანსებით, ეს სოფლები სულ დაცარიელდება. მე კარგად მახსოვს თუ რა ბრძოლისა და შრომის ფასად შეძლო, იმერეთის ახლანდელმა გუბერნატორმა, ბატონმა გივი ჭიჭინაძემ 2013-2014 წლებში მთიულეთში, ახალი სატრანსპორტო გზის მშენებლობისთვის საჭირო თანხების მოძიება. ერთეული მაგალითებით ასეთ მტკივნეულ საკითხებს ვერ მოვაგვარებთ, საჭიროა სახელმწიფო მიდგომებით ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონიმიკური განვითარების ერთიან ჭრილში მოკლევადიანი პროგრამებით საკითხების მოგვარება. ჩვენ შევძელით ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა. შემუშავებული გვაქვს საზღვრისპირა მაღალმთიანი და ბარის ტიპის თანამედროვე სოფლების მშენებლობის კონცეფცია-პროგრამა ურბანული განვითარებით. პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსით.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ქალაქების, მუნიციპალური ერთეულების, დაბებისა და სოფლების წყალმომარაგების ახალი სისტემების მშენებლობისათვის ფინანსურ უზრუნველყოფას, თქვენ წარმოიდგინეთ, ქალაქ თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების წყალმომარაგება-წყალარინების სისტემები იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ წყალმომარაგების ძველ საინჟინრო ნაგებობებში დანაკარგები 48%-ს აღემატება, უნდა ვიცოდეთ, რომ თბილისი მოიხმარს 21 $მ^3$/წმ-ში წყალს, ხოლო წყალარინების მთავარ კოლექტორში (წყალშემკრებში), რომელიც ლოჭინის დასაწყისში მდებარეობს 3,4% წყლით განზავებული მასა იყრის თავს, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თბილისის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემები კატასტროფულად საგანგაშო მდგომარეობაშია. ამიტომაც გახშირდა ელბაქიძის დაღმართზე მომხდარი მსგავსი მეწყრების საშიშროება, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა სანაპიროს დასახლებულ პუნქტებსა თუ სატრანსპორტო გზებზე. კახეთში კი წყალმომარაგების სისტემების არარსებობის გამო ვირ-ურემის სატრანსპორტო სისტემებით ხდება სასმელ-სამეურნეო წყლით უზრუნველყოფა, იმის გამო კი არა, რომ ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგები არ გაგვაჩნია, პირიქით, იქ წყალმომარაგების სისტემების არ არსებობითაა გამოწვეული დღევანდელი არასახარბიელო, ზოგან კი საგანგაშო მდგომარეობა.

საქართველოს გადაუდებლად ესაჭიროება წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობისათვის საჭირო 8 მილიარდი აშშ დოლარის სამუშაოების წარმოება 5 წლიან სამუშაო პერიოდში, წყალი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით, როგორც დიდი ქალაქებისა და დაბებისთვის, ასევე სოფლად ყველა მცხოვრებისთვის. ახალი სისტემების მშენებლობისათვის 8 მილიარდი დოლარის მოძიება დღევანდელ საბიუჯეტო შემოსავლებით ყოვლად შეუძლებელია, ხოლო ჩვენი კონცეფცია-პროგრამით ამ თანხის მოძიება და მისი მიზნობრივად გამოყენება ჩვენივე ფინანსური მოდელით სავსებით დამაჯერებელი და რეალურია. რასაც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიც ადასტურებენ საჭირო თანხებით უზრუნველყოფისათვის მათი პრაქტიკული დახმარების თაობაზე.

მოგეხსენებათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, უშუალოდაა დამოკიდებული ენერგეტიკის განვითარების შესაძლო პერსპექტივებზე, ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ დიდი პოტენციალი. ჩემთვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა, შემომეკრიბა ცნობილი ენერგეტიკოსების გუნდი და მათთან ერთად შემექმნა ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რომელსაც ღვაწლმოსილ მეცნიერ-ენერგეტიკოსის, ბატონი **ანზორ ჭითანავას** რეკომენდაციით, ცნობილი, დამსახურებული მეცნიერი და უდიდესი გამოცდილების მქონე ბატონი **მერაბ დადიანი** ხელმძღვანელობდა, ჩემს მიერ შემუშავებული ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად შეიქმნა ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტიული პროგრამა. ჩვენ დათვლილი გვაქვს საბაზისე ენერგიის, მცირე და საშუალო ჰესების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების, მზის, ქარის ენერგომიმღები სისტემების მშენებლობისათვის საჭირო თანხები და მისი შესრულების ვადები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით.

დათვლილი გაქვს სოფლისა და სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ხარჯები. მსუბუქი მრეწველობის, ირიგაციისა და დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საბალანსო მოცულობის ზრდის ხარჯები, ასევე დათვლილი და მოძიებული გვაქვს კოოპერირების გზით მთასა და ბარში კლასტერული წარმოებების მოწყობისათვის საჭირო თანხები, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო თანხებიც. განათლება უნდა გახდეს ყველა ცოდნის მიმღებ მსურველთათვის ხელმისაწვდომი, დაფინანდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ცენტრები.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად მიგვაჩნია სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. ეტაპობრივად განხორციელდება სახელმწიფო შიდა ვალების 11 სახის სავალო ვალდებულებების გასტუმრება აქციებისა და ფასიანი მომგებიანი ქაღალდების სახით. დაკარგული კაპიტალი უნდა დაუბრუნდეს ხალხს! უნდა აღდგეს სოციალური სამართლიანობა! მხოლოდ რამდენიმე ერთეულ ადამიანზე არ უნდა იქნეს გადანაწილებული ჩვენი წინაპრებისა და მშობლების მიერ შექმნილი მატერიალური სიმდიდრე, რასაც ქვეყანაში დღემდე მიმდინარე ხელაღებული სახელწიფო ქონების პრივატიზაცია ადასტურებს, ყველა მაღალ განვითარებულ სახელმწიფოებში, მაგალითად აშშ-ში სტრატეგიული ობიექტების 27% ოქროს კვეთის პრინციპით სახელმწიფო საკუთრებაშია თავმოყრილი და მასზე სახელმწიფო მართვა განკვარგვის უფლებამოსილებაა დაწესებული. საბიუჯეტო შემოსავლების 60%-ზე მეტი საშუალო და მცირე ბიზნესის მეშვეობით ფორმირდება ხოლო 1/5-ზე ნაკლები მოდის დიდ ბიზნესზე, ბიუჯეტის შევსება ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის მეშვეობით მიიღწევა. ჩემთვის ძალზედ გაურკვეველია გასული საუკუნის მიწურულიდან დღემდე რისთვის დევნიან ხელაღებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ ფაქტორებს.

უამრავ ადამიანს გაუჩნდება კითხვა, რა საშუალებებით უნდა მოხდეს ყოველივე ზემოთ აღნიშნული სიკეთეების განხორციელება და არის თუ არა მისი შესრულება რეალური?

დიახ, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ გვაქვს დროის უმოკლეს პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის უნიკალური და რეალური შანსი, რაც დასაბუთებულია ჩვენს მიერ შემუშავებულ კონცეფცია-პროგრამაში, ხოლო ბიზნესგეგმის ფინანსურმა გაანგარიშებამ დაგვარწმუნა ქართული ეკონომიკის აღმავლობის გზით შემობრუნებაში. არაერთხელ მითქვამს რომ საქართველოს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალი, აქედან გამომდინარე, საქართველო უნდა გახდეს ბიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა მთელ სამყაროში. ამის რეალურ საშუალებას იძლევა მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის სახელწიფო მარაგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, დაბანდებული კაპიტალის უკუგების ძალზედ ხანმოკლე პერიოდი და ბუნებრივი კვლავწარმოების ანუ მუდმივი განახლების უნარი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია საქართველოს არეალში არსებული ტყით დაფარული ფართობები, ე.ი. თუ გვექნება ტყე, მსოფლიოში დღეს მიმდინარე გლობალური დათმობის პირობებშიც უწყვეტი ციკლით გვექნება მაღალხარისხიანი სასმელი წყალი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ზრუნვის საგნად უნდა ვაქციოთ ტყის მეურნეობის ორგანიზაცია, მართვა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ჭრაგავლილი და დეგრადირებული ფართობების აღდგენა-განახლებითი სამუშაოების წარმოებას, რომელსაც ორი ათეული მილიარდი აშშ დოლარზე მეტი და 25-30 წელი სჭირდება. ამ მოცულობის თანხებს, არც ერთი ინვესტორი არ ჩადებს ჩვენს ქვეყანაში თუნდაც იმ პრაგმატულ მიზეზთა გამო, რასაც კაპიტალის უკუგების პინციპი ქვია, ისინი არ დაელოდებიან ტყის გაშენებით მიღებულ საუკუნის შემდგომ ტყეკაფიდან სამასალე მორის რეალიზაციით მიღებულ მოსალოდნელ ფინანსურ შედეგს, ხოლო დაბანდებული კაპიტალის ამოღების მიზნით – ეს მათთვის აბსურდია. სწორედ ამ მიზნით საჭირო თანხების მობილიზებასა და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის დარგობრივი სტრატეგიული პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების კაპიტალიზაციის მოდელია ჩვენს მიერ შემუშავებული, რომლის ექსკლუზივსაც ვაწვდი თქვენს გაზეთს; ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება, რაც გულისხმობს ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის მატერიალიზებას საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე ფასიანი მომგებიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, ევრობონდებისა და თამასუქების) სახით უზრუნველყოფს ბაზრის სეგმენტის მოპოვებასა და სასმელი წყლის ინდუსტრიული მშენებლობისათვის საჭირო 3 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვის რეალურ საშუალებას, რაზეც ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია ოფიციალური შეთანხმება აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორებთან ნოტარიულად დამოწმებული და დასაბუთებული მიმოწერების სახით. დასრულდება თუ არა ინდუსტრიული მშენებლობა და თუნდაც აქ წარმოებული ერთეული პროდუქტი გადაკვეთს საქართველოს საზღვარს, სარეალიზაციო ფასის 24 ცენტ-ლიტრის პირობებით, ამ მოდელით იწყება ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლების ზრდის პროცესი 12 მილიარდი აშშ დოლარით. აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოებაც რომ ჩვენ ქართულ მხარეს გვეკისრება მზა პროდუქციის საზღვრებამდე მიტანა, ხოლო შემდგომ მისი რეალიზაციით მიღებულ მოგებაში მონაწილეობას არ ვღებულობთ.

ზემოთ აღნიშნულ ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელით, ფინანსურ ინსტიტუტებთან წინასწარ დაგეგმილი შეთანხმებით ვიწყებთ კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენების პირველი ეტაპის განხორციელებას. პირველ ეტაპზე სასმელი წყლის საერთო დასაშვები საექსპლუატაციო სახელმწიფო მარაგებიდან პესიმისტური მოდელის მიხედვით ვიღებთ მარაგის 25%-ს, ანუ 74,6 $მ^3$/წმ-ში და ამ მოცულობის შესაბამისი აქტივები გაგვაქვს სტრატეგიული პარტნიორების დახმარებით საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი (წლიური სარგოთი) ფინანსური რესურსების მოსაზიდად დარგობრივი ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, რომელიც შესაბამისი მოგების მიღებით ფეხზე წამოაყენებს და ქვეყნის ეკონომიკას ააღორძინებს უახლოეს 6 წელიწადში. ე,ი, ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით ჩვენ ინდუსტრიული წარმოების შედეგად მშპ-ს მოცულობის ზრდის პერსპექტივებისა და პროდუქციის უწყვეტი ციკლით წარმოების პირობების შექმნით რეალურად შევძლებთ, გავზარდოთ ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე, კაპიტალიზაციისა და ფინანსურ რესურსებში ჩართვის ტექნოლოგიურ- ინოვაციური მოდელის მეშვეობით საქართველოს აქტივების სახით შევძინეთ ასეული მილიარდობით აშშ დოლარის მატერიალური ფასეულობა უმაღლესი კლასის მსოფლიო საბანკო გარანტიით. რაც ერთ-ერთი უმთავრესი წინა პირობაა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და წელში გამართვისათვის.

პაატა გიორგაძე.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 31

ინფორმაცია

ჩვენით ირლანდიური ავიაკომპანიაც დაინტერესდა

ირლანდიური დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია „Ryanair“-ი საქართველოს ავიაბაზრით დაინტერესდა,–ავიაკომპანიის მიერ ქუთაისის მიმართულებით ავიარეისების დაწყების შესაძლებლობები განიხილეს სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „Ryanair“-ის კომერციულ დირექტორთან დეივიდ ობრაიანთან გამართა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესის ზრდა განპირობებულია ქვეყანაში შექმნილი ბიზნესგარემოთი, ბოლო წლების განმავლობაში ტურისტული ნაკადის ზრდით და იმ შესაძლებლობებით, რომელსაც იძლევა საქართველოს მოქალაქეებისთვის უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ვიზალიბერალიზაციის პროცესი. დეივიდ ობრაიანის განმარტებით, ავიაკომპანიის სამუშაო ჯგუფი გაეცნობა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურულ და ოპერირების შესაძლებლობებს. მანვე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მთავრობასთან მიმდინარე მოლაპარაკებები და კონსულტაციები დადებითად გადაწყდება.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

თურქი მეგობრის ფასეული მონოგრაფია ქართულ ზმნისწინზე

გამომცემლობა „ინტელექტმა“ ერთობ საინტერესო მონოგრაფია შესთავაზა მკითხველს: „ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში“. ალბათ, ფიქრობთ, რომ წიგნის ავტორი ენის კარგი მცოდნე ქართველია, თუმცა, არა. ჰარუნ ჩიმძე თურქი ასისტენტ-პროფესორია, რომელიც წლების წინათ რუდუნებით შეუდგა ქართული ენის შესწავლას და უკვე რამდენიმე ღირებული ნაშრომის ავტორია. პარალელურად ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. მას ეკუთვნის რამდენიმე თარგმანი, მათ შორის „საქართველოს კულტურა“; ბესიკ ხარანაულის „წიგნი ამბა ბესარიონისა“; დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნი“ და „თანამედროვე ქართული მოთხრობები“.

ჰარუნ ჩიმძე თურქეთში დაიბადა, ქალაქ სივასში 1977 წელს. 1995 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი ქართული ენა-ლიტერატურისა და თურქული ფილოლოგიის სპეციალობით. იგი არის პირველი თურქი ეროვნების დოქტორანტი, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართულ ენაში და მიენიჭა ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამჟამად თურქეთში მოღვაწეობს, ქალაქ რიზეს უნივერსიტეტში ასწავლის ქართულ ენას. იკვლევს ქართული ენის გრამატიკას და ქართულ და თურქულ ენათა შედარებითშეპირისპირებითი გრამატიკის, აგრეთვე თურქულენოვანთათვის ქართული ენის საკითხებს. სწორედ მისი თანაავტორობით გამოიცა წიგნი „ქართული ენა – ფონეტიკა, მორფოლოგია“.

ქართულ ზმნასთან დაკავშირებული ყოველი სამეცნიერო ნაშრომი ღირებულია, მაგრამ როდესაც უცხოენოვანი ავტორი ასე საფუძვლიანად ეუფლება ჩვენი ენის გრამატიკას, განსაკუთრებით მისასალმებელია. ამიტომაც წარმოაჩინა გამომცემლობა „ინტელექტმა“ თურქი მკვლევარის მონოგრაფია ასეთი ენთუზიაზმით...

წიგნის რედაქტორი პროფესორი **რუსუდან საღინაძე** ამბობს, რომ **„ჰარუნ ჩიმ ქეს „ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში“ თავის ადგილს დაიმკვიდრებს ქართველოლოგიაში და გაამდიდრებს ქართული ზმნის პრობლემურ საკითხებზე შექმნილ საენათმეცნიერო ლიტერატურას“.**

ნია ფიფია

◎ გამოიცა

პირველი და – საშვილიშვილო

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით, რუსთაველის საიუბილეოდ დიდი საშვილიშვილო საქმე დააგვირგვინა.

საქმე ისაა, რომ ყველას როდი აქვს საშუალება, შეისწავლოს, დაათვალიეროს ან თუნდაც თვალი ზერელედ გადაავლოს „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერებსა და მათ მხატვრობას, უნიკალურ კალიგრაფიულ ნიმუშებს, შემკულობებს, საწყის ასოებს, სინგურით გამოყვანილ სათაურებსა და ფიგურებს; ძალიან ცოტანი ვართ ის მკვლევარები, რომელთაც ეს ხელნაწერული მემკვიდრეობა საკუთარი თვალით გვინახავს, ისტორიული ფოლიანტებისთვის ხელი შეგვივლია, ფურცლები ფაქიზად გადაგვიფურცლავს. ალბათ, საქართველოს მთელი მოსახლეობის 1 პროცენტს თუ ღირსებია ეს ბედნიერება. რაღა დაეაშავა დანარჩენმა საქართველომ?!

ასზე მეტია ისეთი ხელნაწერი, რომელიც რაღაც ელემენტით მაინც იპყრობს ყურადღებას. ზოგი მინიატიურების სიმდიდრით გამოირჩევა, ზოგი კალიგრაფიული ოსტატობით, ზოგიერთი – თავსამკაულებით, ბორდიურების გაფორმებითა თუ მთავარი ასოების გამოყვანით, დეკორატიული გვერდებით, ყდების სიმდიდრითა და ორიგინალურობით ...

ერთი სიტყვით, მთელი ხელნაწერული მემკვიდრეობა დღემდე სრულად ან ნაწილობრივ მაინც დაფარული იყო ფართო საზოგადოებისთვის, რადგან დღემდე არა გვქონია ხელნაწერული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ალბომ-კატალოგი, ამ მემკვიდრეობის ამსახველი ერთიანი სათანადოდ ილუსტრირებული გამოცემა.

ქართველები ყურწაგდებული ხალხი ვართ. ზოგი ჩვენი მეზობელი ერი ამ საუნჯეს აძამდე ტორეადორის წითელი ქსოვილივით ათასჯერ აუფრიალებდა წინ მსოფლიო საზოგადოებას და სამართლიანად იამაყებდა „მსოფლიო მეხსიერების“ ამ დოკუმენტური მემკვიდრეობით.

გარდა ამისა, მეორე ამბავიცაა: უნდა „სათანადო პატივი მივაგოთ კალიგრაფებს, მომხატველებს, მკაზმველებს, დამკვეთებს, მეპატრონეებს, მკითხველებს, მზრუნველებს, ქომაგებს“, რომელთაც ამ საუნჯის შექმნას, დაგროვება-დაუნჯებას ხელი შეუწყვესო, – ბრძანებს ბუბა კუდავა და აი, სწორედ მისი აქტიური ძალისხმევის გამოისობით ხელთა გვაქვს **უნიკალური გამოცემა** – წიგნი-ალბომი, წიგნი-კატალოგი, ბრწყინვალედ შესრულებული ფერადი სლაიდები, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი 356-გვერდიანი დიდი ფორმატის ფოლიანტი, რომელსაც გემოვნებით გაფორმებული ყდა იცავს და, ამასთანავე, ახლავს ლამაზად მოხატული ქაღალდის ლუსკუმა, წიგნის ჩასადები სარკოფაგი.

ამ სრულ კატალოგში შესულია ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერის ილუსტრაცია; მათ შორის ბევრი ისეთია, საერთოდ რომ არ გამოქვეყნებულა.

მაშასადამე, არქივებსა და მუზეუმებში დაცულ-დაფარულმა მშვენიერებამ ფეხი აიდგა და მთელ ქვეყნიერებას მოეფინა.

მადლობა ბუბა კუდავასა და ყველა იმ სპეციალისტს, რომელთა მონდომებამაც ეს პროექტი ესოდენ წარმატებულად დააგვირგვინა.

ჩვენ გვწამს: აქტიური, მაძიებელი და დაუდეგარი ბუნების ბუბა კუდავა ამ უთუმცაო პირველ მიღწევას არ დასჯერდება და მეორე საშვილიშვილო საქმეზეც მიიტანს იერიშს – ასევე წარმატებით გამოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ იმ **საეტაპო ტექსტს,** 60 ახალაღმოჩენილ სტროფს რომ შეიცავს, და რომელიც გამომცემლობა „ინტელექტში“ უკვე აწყობილია.

ეს იქნებოდა ერთი დიდი საშვილიშვილო საქმის ორი ნაპირის გაერთიანება.

მურმან თავდიშვილი,
რუსთველოლოგი.

პროფესიები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა საქართველოში

საქართველოში, ყველა კვლევით, უმუშევრობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამ ფონზე, ერთი შეხედვით, პარადოქსულია ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ბაზრის კომპონენტის კვლევის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც გვამცნობს, რომ დამსაქმებლებს ხშირად უჭირთ საჭირო პროფესიონალების მოძიება.

მეეზოვეც, მიმტანიც და მღებავიც პროფესიონალი უნდა იყოს!

კვლევის თანახმად, გამოკითხული ორგანიზაციებიდან 960 გარკვეულ პოზიციებზე შრომითი რესურსების ნაკლებობას განიცდის, რაც აიხსნება იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლები ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიებას; ადგილი აქვს აპლიკანტების სიმწირეს ან თავად აპლიკანტები არ თანხმდებიან შემოთავაზებულ ანაზღაურებაზე.

დამსაქმებლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხშირად პრობლემებს აწყდებიან მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსების, მიმტანების, მეეზოვეებისა და მსგავსი დამწყები კვალიფიკაციის მუშების, ბუღალტრების, ჟურნალისტების, მზარეულების და სხვა პროფესიის ადამიანების დაქირავებისას. ასევე ძნელი საშოვნია პროფესიონალი გაყიდვისა და მარკეტინგის მენეჯერი, საშუალო განათლების სფეროს მასწავლებელი, მონაცემების ელექტრონული აღრიცხვის კლერკი, დირექტორი და აღმასრულებელი პირი, სამრეწველო სფეროს სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი.

კვლევის თანახმად, ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია არსებული შრომითი ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე და საჭირო უნარების უქონლობა; მუშახელის დეფიციტის მიზეზია ისიც, რომ საშუალო მაძიებლებს, ზოგადად, არ მოსწონთ შეთავაზებული ანაზღაურება და სამუშაო პირობები.

კვლევის მონაცემები გაანალიზდა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებისა და რეგიონების მიხედვით. მცირე მოთხოვნა გამოვლინდა ისეთ ეკონომიკურ სფეროებში, როგორიცაა ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება, ქიმიური წარმოება და თევზჭერა-მეთევზეობის სფერო.

რაც შეეხება რეგიონების მიხედვით საჭირო სფეროების განაწილებას, მიღებული ინფორმაცია შემდეგნაირად გამოიყურება: თბილისში ყველაზე საჭირო პროფესიებს შორის დასახელდა მიმტანი, მღებავი და მონათესავე პროფესიების მუშები, მაღაზიის გაყიდვის ასისტენტი, მებაღეობის დამწყები კვალიფიკაციის მუშა, მეეზოვე და მსგავსი პროფილის მუშახელი, აუდიოლოგი და მეტყველების სპეციალისტი (ლოგოპედი), სილამაზის სალონისა და მასთან დაკავშირებული მუშაკები;

მაგალითად, აჭარაში ყველაზე საჭირო პროფესიებს შორის დასახელდა მაღაზიის გაყიდვის ასისტენტი, უცხო ენის მასწავლებელი, საშუალო განათლების სფეროს მასწავლებელი, კურიერი და პორტიე, მცხობელი, კონდიტერი და ტკბილეულის დამამზადებელი;

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში საჭირო პროფესიებია: მეეზოვე და მსგავსი პროფილის მუშახელი, შენობის მეთვალყურე, გაყიდვის სფეროს მუშაკი, საშუალო განათლების სფეროს მასწავლებელი, მედიცინის პრაქტიკოსი და ა.შ.

ნინო ევგენიძე

◎ ინფორმაცია

თავდაცვის მინისტრი საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენას ეწვია

თავდაცვის მინისტრი საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გამოფენას ეწვია. თინათინ ხიდაშელი აბიტურიენტებს შეხვდა და მათ გამოფენაზე წარმოდგენილი დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის (ეთა) შესახებ ინფორმაცია პირადად მიაწოდა.

„მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ასეთი ღონისძიებები იმართება. ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, პირველწყაროს ესაუბრონ, სკოლის დამთავრების ადრეულ ეტაპზე დაგეგმონ საკუთარი მომავალი, იცოდნენ, რა არჩევანი აქვთ და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. ყოველთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ამგვარი საუნივერსიტეტო ბაზრები. ჩვენ ეროვნული თავდაცვის აკადემიით წარვსდექით დღევანდელ ღონისძიებაზე და სხვა უნივერსიტეტების მსგავსად ვფიქრობთ, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია არის საუკეთესო შესაძლებლობა განვითარებისთვის, საუკეთესო ადგილი, სადაც ახალგაზრდები უნდა მივიდნენ მაღალი ენთუზიაზმით და ემსახურონ საკუთარ ქვეყანას კარგი განათლებით“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია და განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უმაღლეს სამხედრო დაწესებულებაში სწავლის სურვილი ბევრ გოგონას აქვს. „დარწმუნებული ვარ, რომ, შესაძლებლობა, რომელსაც იძლევა ეროვნული თავდაცვის აკადემია, არის დიდი კარები ახალ ცხოვრებაში. იუნკრის სახელის ტარება, ჩემი აზრით, საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უდიდესი პატივია“,- განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

◎ გვჭირდება? არ გვჭირდება?

სახელმწიფო ენის უცოდინარობა არ უნდა წავახალისოთ

რუსულენოვანი არხის წინააღმდეგი ვარ!

გაიხსნება თუ არა საქართველოში რუსულენოვანი არხი, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე რამდენჯერმე ისაუბრეს და ამ ინიციატივის ავტორი პაატა ზაქარეიშვილია. როგორც ჩანს, მთავრობაშიც რუსული არხის გახსნის მიმართ მზაობა არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ არხზე საუბარს ამდენ დროს არ დაუთმობდნენ ჩასაფრებული ნაციონალების ფონზე, რომლებმაც ჯერ კიდევ 2014 წლის დეკემბერში საქართველოს პროკურატურაში რუსული არხების აკრძალვის მოთხოვნით განცხადება შეიტანეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით For.ge-ს ექსპერტი ვაჟა ბერიძე ესაუბრა.

— რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „რესპუბლიკელი“ პაატა ზაქარეიშვილი რუსულენოვანი არხის გახსნის ინიციატივით გამოდის. მისი მხრიდან ეს დინების საწინააღმდეგოდ ცურვაა, თუ რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირების მცდელობა?

— პირადად მე წინააღმდეგი ვარ, ყოველგვარი ინგლისურენოვანი, თურქულენოვანი, სომხურენოვანი ტელევიზიები ყალიბდებოდეს სახელმწიფოს მიერ. არა მგონია, რომ ჩვენ უნდა წავახალისოთ საქართველოს მოქალაქეების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა. ერთი მხრივ, როდესაც თითქოს ზრუნავ შენსავე მოქალაქეებზე, რომ მათ არ გაუჭირდეთ ინფორმაციის მიღება, მეორე მხრივ, ამით ახალისებ იმას, რომ ადამიანი ცხოვრობდეს საქართველოში და სახელწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენაზე საუბარი, საქმის წარმოება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა არ შეეძლოს. ამიტომ მე ვფიქრობ, სახელმწიფომ ეს არ უნდა წაახალისოს. მეორე მხრივ, თუკი აღმოჩნდება, რომ ეს სფერო კომერციულად მომგებიანია, კერძო პირებს შეუძლიათ ნებისმიერ ენაზე მაუწყებლობის ორგანიზება. თუმცა, ბუნებრივია, კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისია უნდა ახდენდეს მათ ზედამხედველობას, რათა ეს არხები არ იქცეს ჩვენისთანა მცირე ქვეყნისთვის გარკვეული შეხედულების პროპაგანდად, ტოტალიტარიზმის, ფუნდამენტალისტური, აგრესიული, ექსტრემისტული განწყობილების, სეპარატიზმის წამახალისებლად.

ჩვენ ფული უნდა დავხარჯოთ იმაზე, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ იცოდეს სახელმწიფო ენა და ამ ენაზე შეძლოს ურთიერთობა.

— თუკი რუსულენოვანი არხი არ გაიხსნება, ეროვნული უმცირესობების უფლებების შეზღუდვაზე ხომ არ ალაპარაკდებიან ცალკეულ არასამთავრობოები? ჩვენი ქვეყანა ვერ იქნება ისე მოწყობილი, როგორც ირანი, სადაც ეთნიკური სიჭრელის მიუხედავად, დე იურედ ეროვნული უმცირესობა არც არსებობს.

— არა მგონია, საქართველოში ეს პრობლემა აქტუალური იყოს, რამდენადაც ტოლერანტული ტრადიციის ქვეყანა ვართ. სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ორი ავტონომია ჩვენს მიერვეა აღიარებული. სხვათა შორის, ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანების პროცესი გულისხმობს იმასაც, რომ ევროკავშირის პრინციპებს რეგიონალურ ენებთან მიმართებით ანგარიში გავუწიოთ, რათა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენობრივი დისკრიმინაცია არ მოხდეს საქართველოში. თუმცა არც ისეთ უკიდურესობაში უნდა გადავვარდეთ, რომ მეგრული და სვანური ენები რეგიონალურ ენებად დავაფიქსიროთ. ბუნებრივია, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ გვაქვს უზარმაზარი განძი მეგრული და სვანური ენების სახით, ეს ენები უნდა ისწავლებოდეს სკოლებში და შეიძლება ვიფიქროთ მათ განვითარებაზეც, რადგან დიალექტის ფარგლებში შესაძლოა, არც იყო მიზანშეწონილი ფუძე ქართული ენების ჩაკეტვა, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში გასაგები იყო ყველა ქართველისთვის და შემდეგ მოხდა მათი დიფერენციაცია. ამ საგანძურს მოვლა სჭირდება, მაგრამ მათი რეგიონულ ენებად აღიარება და საქმის წარმოება მეგრულ და სვანურ ენებზე, ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არ იქნება. ჩვენ უნდა დავაბალანსოთ ეს ყველაფერი.

რეინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებდა, რომ რუსული მედია იყო მკვლელობის ალტერნატიული იარაღი საქართველოში. განსაკუთრებით, საუბრობდნენ „რასია 24“-ზე, რომელსაც სიძულვილის ტირაჟირებასა და ანტიქართულ პროპაგანდაში ადანაშაულებდნენ.

— აქ რამდენიმე პრობლემაა. ერთი, რას მისცემს რუსულ-ქართულ ურთიერთობებს რუსულენოვანი არხი საქართველოში და, მეორე, უნდა აიკრძალოს თუ არა „მკვლელობის ალტერნატიული იარაღი“ (რუსული მედია) საქართველოში. არა მგონია, რაიმე სერიოზული პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინოს რუსულენოვანი არხის ჩართვამ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, რადგან ჩვენ რაიმე ტიპის პროპაგანდის წარმოებას არ ვაპირებთ ამ არხით. ჩვენ ვაპირებთ იმას, რომ მიუკერძოებელი ინფორმაცია მივიტანოთ რუსულენოვან მოქალაქეებამდე. არ გამოვრიცხავ, ეს არხი რუსული პროპაგანდის საპირწონე იყოს, მაგრამ ამითაც ბევრი არაფერი შეიცვლება, რადგან ახლა ინტერნეტის საუკუნეა. დავუშვათ, ავკრძალეთ რუსული არხები, ამის მერე შეიძლება ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს ფუნდამენტალური წყაროები და მათი ვებგვერდები, ისინიც გავთიშოთ და უშედეგო, არაფრისმომცემ ნაბიჯებამდე დავიდეთ.

ერთი მაგალითი: „ისლამურ სახელმწიფოსა“ და მის პრინციპებთან დაკავშირებით საქართველოში სწორი მიდგომა მას შემდეგ ჩაყალიბდა, რაც ერთ-ერთი ქართველის მოწოდება გავრცელდა საინფორმაციო სივრცეში, რომლის აკრძალვასაც დასავლური ფონდების მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები ითხოვდნენ. მერე გაქრა სივრციდან ის მიმართვა, მაგრამ იმ მიმართვამ ქართულ საზოგადოებას თვალნათლივ დაანახვა, რასთან გვქონდა საქმე „ისლამური სახელმწიფოსა“ და მის მიერ გადაბირებული საქართველოს მოქალაქეების სახით. ასევეა რუსების შემთხვევაშიც, რომლებიც კარავს გარს ურბენენ, კარავში მყოფებმა კი არ იციან, როდის შემოუვარდებიან. ამიტომ სჯობს, გაიხედონ ამ კარვიდან და გაიგონ, როდის და საიდან აპირებს მოწინააღმდეგე შემოვარდნას. თორემ დავახშოთ ეს არხები, რკინის ფარდა მაინც აღარ არსებობს, ჩვენს მოქალაქეებს მაინც ვერ დავიცავთ და ისინი გავარდებიან ან თურქეთში პლანტაციებში შავ მუშებად, ან რუსეთში ორი კაპიკის საშოვნელად და იმავე პროპაგანდას იქვე მოუსმენენ.

საქართველოს მინიმუმ 800 ათასი მოქალაქე, ფაქტობრივად, მოწყვეტილია ქართულ სინამდვილეს და აკრძალული აქვს არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ კი თავისუფალი სივრცის ნაწილი გავხდებით და აქ მოსახლეობისა და მუშახელის ნაკლებობობა თუ იქნება, ამას ოპერატიულად შეავსებენ ჩვენთვის საყვარელი ჩინელები, პაკისტანელები, ბანგლადეშელები. ბოლოს და ბოლოს, სახელწიფო ჩვენი მოქალაქეების ერთობაა, ამ ეტაპზე 4 მილიონის ერთობა და მიმაჩნია, რომ რუსულ პროპაგანდაზე არანაკლები საფრთხეა ჩვენი უპერსპექტივო სოციალური ვითარება. სჯობს, დასავლეთი ამაში დაგვეხმაროს და რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვასთვის გამოყოფილ ძალიან დიდ თანხას ერთი-ორი ან სამი სერიოზული დასავლური ინვესტიციაც მოჰყვეს საქართველოში.

25 წელია, ჩვენი ქვეყანა სიღარიბეშია, დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობის პირობებში ელემენტარული სოციალური მოთხოვნილებები ვერ დაუკმაყოფილებია. ამიტომ სოციალურ პრობლემებს მოუარონ. ეს იქნება რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ სახელმწიფოებრიობის ილუზია

სოხუმის გამკაცრებული საviზო პოლიტიკა

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება პირველი აპრილიდან საviზო რეჟიმს აწესებს იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ე.წ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არ აღიარეს. ამ ცნობას ავრცელებს რუსული საინფორმაციო სააგენტო, რომლის კორესპონდენტიც აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარეს ვალერი ბგანბას ესაუბრა.

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის ვალერი ბგანბას თქმით, საviზო რეჟიმის დაწესება იმიგრაციის კონტროლის გაძლიერების შესაძლებლობას იძლევა. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში გადაადგილების პროცესს ამ დრომდე არეგულირებს კანონი, სახელწოდებით „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხოეთის მოქალაქეების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შესვლა-გამოსვლის შესახებ“, რომელიც დე ფაქტო პრეზიდენტის 2005 წლის განკარგულებით მოქმედებს. კანონის მიხედვით, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლის უფლება აქვთ რუსეთის ფედერაციისა და დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეებს. ვალერი ბგანბას ინფორმაციით, პირველი აპრილიდან ძალაში შედის კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელზე მუშაობაც, მისი თქმით, რვა წლის მანძილზე მიმდინარეობდა:

როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტო „ტასი“ ვალერი ბგანბაზე დაყრდნობით იუწყება, კანონის ამოქმედებამდე სასაზღვრო-გამშვები პუნქტები თანამედროვე ტექნიკითაც აღიჭურვება.

ე.წ. საviზო რეჟიმის ამოქმედებას იანვრის მიწურულს წინ უძღოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან მიერთება. მაშინ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა არტურ მიქვაბიამ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, შეზღუდვები დაწესდა თურქეთში წარმოებული პროდუქტის იმპორტზე.

რაზე მიანიშნებს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის გადაწყვეტილება, დააწესოს საviზო რეჟიმი? „სახელმწიფოებრიობის ილუზიის შექმნა“ და „რუსეთის მიმართ მაამებლური პოლიტიკა“ — ასე აფასებს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამ გადაწყვეტილებას **ლევან გერაძე, მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.** მისი აზრით, ვიზების დაწესება ამ ქვეყნებისათვის პრაქტიკულად არაფერს შეცვლის, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა ნაკლებ ინტერესს იწვევს თუნდაც ევროპელ ტურისტებში:

„ვინც საქმიანი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების შესასრულებლად ჩადის აფხაზეთში, მათ თუ დასჭირდათ, ვიზის ფულსაც გადაიხდიან, ანუ, თუ აფხაზურ მხარეს სჭირდება ამ ადამიანების ჩასვლა თავის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ვიზების გარეშეც ჩაუშვებს. აფხაზეთის „საერთაშორისო ურთიერთობებზე“ გავლენას ვერ მოახდენს საviზო რეჟიმის გამკაცრება, რადგან აფხაზეთი არ არის ამ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მონაწილე და შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი, სადაც ის რაღაცნაირად მონაწილეობს ამ საერთაშორისო ფორმატის ურთიერთობებში, ეს არის ჟენევის მოლაპარაკებები, სადაც ის რუსული პასპორტებით მონაწილეობს“.

გიორგი მუჩაიძე, ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი, ლაპარაკობს რუსეთის ფედერაციის უსაზღვრო გავლენაზე, რისი ერთ-ერთი დადასტურებაც, მისი თქმით, იყო აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მიერთება თურქეთისთვის დაწესებულ სანქციებთან. გიორგი მუჩაიძის სიტყვებით, იმ პირობებში, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიების ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი დამოკიდებულია რუსეთიდან წამოსულ დაფინანსებაზე, და იმ პირობებში, როდესაც სოხუმი და ცხინვალი ე.წ. მოკავშირეობისა და უსაფრთხოების ხელშეკრულებებს აფორმებენ მოსკოვთან, არ არის გასაკვირი, რომ ისინი ასეთ პირობებში სრული მორჩილების ქვეშ იმყოფებიან:

„როდესაც რუსეთის მხრიდან იცვლება ურთიერთობები დასავლეთთან და, შესაბამისად, პოლიტიკის ცვლილება ხდება, ამ პოლიტიკას ძალაუნებურად მიჰყვებიან რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიებიც. და მოგეხსენებათა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობები სრულიად დამოკიდებულნი არიან რუსეთზე როგორც ბიუჯეტით, ისე პოლიტიკურად და, აქედან გამომდინარე, მიჰყვებიან მის ნებას“.

> **ეს თვითიზოლაციის კიდევ ერთი გზაა, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსული პოლიტიკის გაგრძელება და იძულებაა და, ამავე დროს, ეს არის აფხაზეთის კიდევ უფრო მეტი იზოლაცია და მარგინალიზაცია“.**

„კიდევ ერთი ნაბიჯი იზოლაციისკენ“, — ასე აფასებს **აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ ე.წ. საviზო პოლიტიკის გამკაცრებას შორენა ლორთქიფანიძე,** წარმომადგენელი კვლევითი ცენტრისა „სამოქალაქო საბჭო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე“. როგორც ის რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუშაობენ უცხოური ორგანიზაციები და ახორციელებენ გარკვეულ პროექტებს, რომლებშიც ჩართულნი არიან ადგილობრივი უნივერსიტეტები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ ნაბიჯით კი, შორენა ლორთქიფანიძის აზრით, ჩნდება პრობლემა და სასიცოცხლო ჟანგბადი იკეტება იმ ადამიანებისა თუ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ჩართული არიან საერთაშორისო თანამშრომლობაში:

„რეალურად, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დონორი ორგანიზაციების მოძრაობა ასე თუ ისე ჯერ კიდევ არის. საviზო რეჟიმის გამკაცრების პირობებში კი ეს ურთიერთობა, შესაძლოა, შეწყდეს. ეს თვითიზოლაციის კიდევ ერთი გზაა, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსული პოლიტიკის გაგრძელება და იძულებაა და, ამავე დროს, ეს არის აფხაზეთის კიდევ უფრო მეტი იზოლაცია და მარგინალიზაცია“.

ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას 2008 წელს რუსეთმა და ნიკარაგუამ გაუხსნეს გზა. 2009 წლის შემდეგ ამ გზას შეუერთდა ვენესუელა, ნაურუ, ტუვალუ და ვანუატუ, თუმცა ვანუატუმ მოგვიანებით ეს აღიარება უკან წაიღო.

ნინო თარხნიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

◎ ნაციონალებს ხმა არ ამოელებათ!

ნუთუ ამით ვახალისებთ სოფელში ხალხის დამაგრებას, გლეხს საკუთარ მიწას რომ ვართმევთ?!

„ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ საქართველოში დაურეგისტრირებელი მიწა სულაც არ ნიშნავს უპატრონო მიწას“, — აცხადებს „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი **სულხან ღლონტი,** რომლის აზრითაც, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონპროექტი ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება მიწას ჩამოართმევს საქართველოს 400 ათასზე მეტ მოქალაქეს.

— მართალია, ხელისუფლებამ თავი იმართლა, თითქოს განზრახვა არ ჰქონია, რომ გაეყიდა სხვისი ფართობები და წაერთმია მიწები საკუთარი მოქალაქეებისთვის, მაგრამ, თუკი ეს კანონი ძალაში შევა, ამას ხელისუფლება გადაყვება, რადგან საკუთარი ამომრჩევლების უმრავლესობას საკუთრება უკვე ჩამორთმეული ექნება.

— თუკი ამ კანონს მიიღებენ, ერთ დღეში ხელისუფლება საქართველოს მიწების 80%-ს მიისაკუთრებს. მოგეხსენებათ, მიწის რეფორმა საქართველოში ორჯერ ჩავარდა, რაც მოქალაქეების ბრალი სულაც არ ყოფილა. უბრალოდ, ვერც ერთმა ხელისუფლებამ, ვერც შევარდნაძემ და ვერც სააკაშვილმა, ვერ მოახერხეს მიწის რეფორმის ბოლომდე მიყვანა. ახლა საკვირველი ის არის, რომ ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეებს სთხოვს პასუხს ამ ყველაფერზე. ფაქტობრივად, სახელმწიფო მოქალაქეებს ეუბნება, იმის გამო, რომ ვერც ერთხელ ვერ მოვაბი რეფორმას თავი, ყველა იმ მოქალაქის მიწა, რომლის დოკუმენტიც ხარვეზიანია, ჩემს ხელში უნდა აღმოჩნდეს. ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლება კიდევ უტოვებს საშუალებას მოქალაქეებს, ედავონ და, თუ საბუთები გააჩნიათ, დაიბრუნონ საკუთარი მიწის ნაკვეთი. მოქალაქეების უფლებისა და საკუთრების ასეთი მასშტაბით შელახვა და მავნებლობა არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ეს არის ან გაუაზრებელი პოლიტიკა, ან გამიზნული მავნებლობა. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ნახევარ საქართველოს საბუთები წესრიგში არ აქვს. წესრიგში მხოლოდ 30%-ს აქვს საბუთები. მე ვფიქრობ, ამ აბსურდულ კანონს ვერ მიიღებენ“, — „ბობოქრობს“ — სულხან ღლონტი.

პარტია „მემარცხენე ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი **პაატა ჯიბლაძე** აცხადებს, რომ „მემარცხენე ალიანსმა“ ხელისუფლებას ერთი კვირის წინ მოსთხოვა, საკუთარ თავზე აეღო და ბიუჯეტის ხაზით დაეფინანსებინა კერძო საკუთრებაში არსებული მიწების დარეგისტრირება. საუბარია იმ მიწებზე, რომლებიც 90-იან წლებში შევარდნაძის განკარგულებით ჩვენს ფერმერებსა და გლეხებს დაურიგდათ და, რომლებსაც დღემდე, მათი სიძვირის გამო, ვერ არეგისტრირებენ. კერძოდ, ერთი ჰექტრის დარეგისტრირება, საშუალო გათვლებით, მინიმუმ, 300 ლარს უდრის.

„ჩვენი მოთხოვნის შემდეგ მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გააკეთა განცხადება გარკვეული ხარვეზების თაობაზე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ იქნება იმხელა თანხა, რომ ბიუჯეტმა მისი დაფინანსება, თუნდაც, გაწერილი, რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ მოახერხოს. უნდა ვიანგარიშოთ, რომ ეს იქნება სადღაც 800 ათასი ჰექტარის ოდენობით მიწა. ამ დროს გლეხი უამრავ ხარჯს აწყდება, საჯარო რეესტრში გადასახადი 51 ლარს შეადგენს, ამას ემატება აზომვითი გადასახადიც, გლეხი უნდა წავიდეს, ამზომი წაიყვანოს, რაც მარტო ერთი ჰექტარისთვის 300 ლარი ჯდება. თუ ეს დამღუპველი კანონი მიიღეს, გამოდის, ერთი წლის განმავლობაში მიწის მეპატრონე, თუკი ვერ დაუსაბუთებს სახელმწიფოს, რომ ეს მისი მიწა იყო, მაშინ მიწა ბრუნდება სახელმწიფოს საკუთრებაში და შემდეგ სახელმწიფო გაიტანს აუქციონზე. თუ გლეხმა 1994 წელს შევარდნაძის დროს მიღებული მიწა გაჭირვების გამო დღემდე ვერ დაირეგისტრირა, მაშინ ეს კანონი რომ შევა მოქმედებაში, მის დარეგისტრირებას ამის მერე შეძლებს?

ამასთან, პაატა ჯიბლაძე გამოეხმაურა ნაციონალების მხრიდან წამოწყებულ აჟიოტაჟს ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, თუ ნაციონალებს სიკეთის გაკეთება უნდოდათ, მაშინ ხელისუფლებაში ყოფნისას დაეკანონებინათ გლეხებისთვის მიწები. ამიტომ ნაციონალებს ამაზე ხმის ამოღების უფლება არა აქვთ!

მანანა ნოზაძე

◎ რას ცვლის თბილისის მერია

„გაორებული სამსახურების“ გაუქმება კარგია, მაგრამ სამუშაოს გარეშე დარჩენილებს რა ეშველებათ?

თბილისის მეწარმეობის ხელშემწყობი ცენტრი ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს შეუერთდება. თბილისის მერის დავით ნარმანიას გადაწყვეტილებით, გაერთიანდება ან გაუქმდება სხვა რამდენიმე საჯარო სამართლისა და არასამეწარმეო იურიდიული პირებიც, რომლებიც მერიის დაქვემდებარებაშია. თბილისის მთავრობის სხდომაზე მერმა განმარტა, რომ ეს ცვლილებები ამ დაწესებულებებს გააძლიერებს და ბიუჯეტს დაზოგავს.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განმარტებით, მერიის ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ-ის), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა (შპს) და არასამეწარმეო იურიდიული პირის (ა(ა)იპ-ის) შერწყმა მერიას ადმინისტრაციულ ხარჯებს დაუზოგავს.

„დაზოგილი სახსრები შეიძლება მიმართული იქნეს და აუცილებლად მივმართავთ ამას ისეთ პროექტებზე, რომლებიც დედაქალაქის უფრო მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს“, — თქვა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე.

მერის გადაწყვეტილებით, 2015 წლის მარტში დაფუძნებული თბილისის მეწარმეობის ხელშემწყობი ცენტრი, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს შეუერთდება. ამავე სამსახურში გაერთიანდება ტექნოლოგიური განვითარების ფონდიც. როგორც მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე განმარტავს, ამ სამი უწყების გაერთიანება მერიას ადმინისტრაციული ხარჯების 65 პროცენტს დაუზოგავს: **„ეს არის წელიწადში 2 მილიონ ლარზე მეტი. ეს არ არის მერიის სტრუქტურაში არსებული რომელიმე უწყების ერთი ხელის მოსმით გაუქმება. ხდება, უბრალოდ, კოორდინაცია, რომლის მთავარი მიზანია ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია“.**

თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაზე მუშაობა, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ასევე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება ევალება. მისი ერთ-ერთი სამუშაო მიმართულება მეწარმეობის ხელშეწყობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განყოფილებაა. თბილისის მეწარმეობის ხელშემწყობი ცენტრის დაფუძნების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლები მერიას ბიუჯეტის არასათანადო ხარჯვაში ადანაშაულებდნენ, რადგან ის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ამ ფუნქციას იმეორებდა. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ირაკლი აბესაძე** ამ სამსახურის გაუქმებასაც ეჭვით უყურებს: **„მათ თითქმის მილიონ-ნახევარი ლარი უკვე დახარჯეს, საიდანაც დაახლოებით მილიონი ხელფასებში დაირიგეს და ახლა გადაწყვიტეს, რომ თურმე ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური არსებობს მერიაში, რომელთანაც ფუნქციური გაორება აქვს თბილისის მეწარმეობის ხელშემწყობ ცენტრს. განვლილ არასრულ ერთ წელიწადზე, როდესაც თბილისის ბიუჯეტიდან მილიონზე მეტი ლარი გაიფლანგა, უნდა დადგეს იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, რომლებმაც ასეთი გაუაზრებელი გადაწყვეტილება მიიღეს“.**

ირაკლი აბესაძეს არც იმის სჯერა, რომ ამ გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ხარჯები დაიზოგება. მისი აზრით, თუ მერიას ხარჯების შემცირება უნდა, შტატები, პირველ რიგში, ახლად შექმნილ საქალაქო სამსახურებში უნდა შეამცირონ.

თბილისის მერის მოადგილე **ირაკლი ლექვინაძე** არ უარყოფს, რომ ფუნქციური გაორება გარკვეულწილად არსებობდა და მერიის პროგრამების შესწორებასა და შერწყმას ამ საკითხსაც უკავშირებს.

მერიაში სხვა რამდენიმე უწყების შერწყმასაც გეგმავენ, რაც „თბილსერვის ჯგუფსა“ და „სინათლის ქალაქსაც“ შეეხება. როგორც დავით ნარმანიამ განმარტა, „თბილსერვის ჯგუფთან“ მერიის კიდევ რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გაერთიანდება, თუმცა ამ თემაზე მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის.

გიორგი გოგუა,
რადიო „თავისუფლება“

◎ ინფორმაცია

განახლებული ნაგავსაყრელი ჩოხატაურში

ჩოხატაურში მუნიციპალური ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებულია. რეაბილიტირებული პოლიგონი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორმა გიორგი შუხოშვილმა გურიის რეგიონის გუბერნატორთან გია სალუქვაძესთან ერთად დაათვალიერა.

ნაგავსაყრელი, რომელიც 11 970.00 კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს, ჩოხატაურისა და მის მიმდებარე სოფლებს ემსახურება. პროექტის ფარგლებში მოეწყო ობიექტის შიდა გზები, მოხდა ტერიტორიის შემოღობვა და ელექტრიფიცირება. ნარჩენები სანიზოლაციო ფენით გადაიფარა, ასევე დამონტაჟდა ნაგავსაყრელის მაჩვენებელი და ამკრძალავი ნიშნები, მოეწყო წყლისაგან დამცავი ქვანაყარი ფერმა. ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა საერთო ღირებულებამ 325 ათას 180 ლარი შეადგინა.

მაჭახელამ რაღა დააშავა?

მაჭახელას ხეობის მოსახლეობა მთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებას და მთის კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობას ითხოვს. ამ მოთხოვნით ხეობის სოფლების მცხოვრებლები მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბნენ. მათი თქმით, ე.წ. მთის საბჭოს გადაწყვეტილებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მაჭახელას ხეობის მხოლოდ ერთ სოფელს მიენიჭა. ადგილობრივებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნადიმ ვარშანიძე შეხვდა და პირობა დადო, რომ ხელმეორედ მომზადდება დოკუმენტი, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეგზავნება და მთის საბჭო კიდევ ერთხელ განიხილავს აღნიშნულ საკითხს.

ქარიშხალი კახეთში

ძლიერი ქარის გამო, კახეთში 28 ათასამდე აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. კახეთის ენერგოდისტრიბუციის ინფორმაციით, თელავის, ახმეტის, ყვარლის და სიღნაღის რაიონის ნაწილს დენის მიწოდება ავარიულად შეუწყდა, აბონენტთა ნაწილი კი, პრევენციულად გათიშეს. აღდგენით სამუშაოებს უამინდობა აფერხებდა. ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ კორპუსს სახურავი გადახადა თელავში, კავკასიონის ქუჩაზე. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ჩრდილოეთი ოსეთის ასს რესპუბლიკის მცხოვრებლებს სურდათ, საქართველოს შემადგენლობაში ყოფილიყვნენ



დღეს იმის ფონზე, რომ ოსი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწბილებულია ნაციონალების ქართულფობიური და სეპარატისტული პროპაგანდით, ბევრისთვის ძნელია დაიჯეროს, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ – რაღაც 30-35 წლის წინათ – ბევრ ოსს, რომლებიც ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში, სურდათ, რომ მათი ავტონომია საქართველოში ყოფილიყო.

პრინციპულად ოსები ისწრაფვოდნენ ეცხოვრათ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში და 250-300 წლის წინათ, სიცრუით თუ სიმართლით ჩადიოდა საქართველოში საცხოვრებლად. დღეს ოს ნაციონალისტებს ამის გაგონებაც არ უნდათ (აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, რომ ისინი ცხინვალის რეგიონში ძირეული მოსახლეობაა). ასევე შეგნებულად დუმან საზოგადოებრივი განწყობილების შესახებ ჩრდილოეთი ოსეთის ასს რესპუბლიკაში იმ პერიოდზე, როდესაც მის მოსახლეობას, კერძოდ კი ოსი ეროვნების ხალხს, სურდა შეერთებოდა თავისი ავტონომიით საქართველოს სს რესპუბლიკას. განსაკუთრებით ის ოსები, ვისთვისაც ძვირფასი იყო მათი ოსური იდენტურობა, ენა და კულტურა. შეგახსენებთ, რომ 1938 წელს იმ სამხრეთ ოსეთელების დამწერლობა, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, გადაიყვანეს ქართულ გრაფიკაზე, თანაც ქართული ანბანი აღმოჩნდა თითქმის იდეალურად შეხამებული ოსური ენის ბგერათა გადმოცემისათვის. შემოიღეს მხოლოდ რამდენიმე დამატებითი სიმბოლო ოსური ბგერისათვის, რომლებიც ქართულ ენაში არაა, თუმცა ჰქონდათ ქართული ანბანისათვის ჩვეულებრივი დამწერლობა.

ცხინვალში აქტიურად დაიწყო განვითარება ოსურმა ლიტერატურამ, წიგნები გამოიცემოდა ოსურ ენაზე. სკოლებში, არა მხოლოდ სამხრეთი ოსეთის ავტონომიურ ოლქში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც იყო ოსების კომპაქტური დასახლება, სწავლების ძირითადი ენა იყო ოსური.

ეს იყო ძირეული განსხვავება ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის სიტუაციისაგან, სადაც დამწერლობა რჩებოდა კირილიცაზე. აქ ოსური ლიტერატურა ოსურ ენაზე გამოიცემოდა მცირე ოდენობით, პრაქტიკულად არ მოქმედებდნენ ოსური სკოლები (განათლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა) და მოსახლეობა თანდათან ივიწყებდა მშობლიურ ენას. 1954 წელს სამხრეთ ოსეთელების ოსური დამწერლობა იძულებით გადაიყვანეს კირილიცაზე. ინერციით დარჩა ოსური სკოლები და გაცილებით მეტი ლიტერატურის გამოცემა დაიწყო ოსურ ენაზე. მთავარი კი იყო ის, რომ სამხრეთი ოსეთის ოლქში და ოსების კომპაქტური დასახლების რაიონებში საქართველოს სხვა ნაწილებში გაცილებით ხშირად შეგეძლო მოგესმინა ოსური ენა, ვიდრე ვლადიკავკაზში.

საქართველოს ოსების დიდ ნაწილში შენარჩუნებული იქნა ოსური თვითშეგნება. ეს მაშინ როდესაც ოსების ნაწილი სავსებით ნებაყოფლობით ასიმილირდებოდა ქართველებთან, ხდებოდა შერეული ქორწინებანი, გადადიოდნენ ურთიერთობის ქართულ ენაზე. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც იყო, ესაა ის, რომ არც ცხინვალის რეგიონში, არც საქართველოს სხვა რეგიონებში მნიშვნელოვანი ოსი მოსახლეობით არ ყოფილა ის პრობლემა, რაც მწვავედ დადგა მცხოვრებლების წინაშე ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

საკითხი შეეხება ეროვნებათაშორის დაპირისპირებას ოსებსა და ინგუშებს შორის. შეგახსენებთ, რომ 1944 წელს ინგუშები ჩეჩნებთან, კარაჩაელებთან და ბალყარელებთან ერთად უკანონოდ იქნენ დეპორტირებულნი ჩრდილოეთი კავკასიიდან. როდესაც 50-იან წლებში მათ ნება მისცეს დაბრუნებულიყვნენ უკან, აღმოაჩინეს, რომ ბევრი მათი სახლი დაკავებულია ოსების მიერ, რომლებიც აქ გადმოასახლა ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ. ორ ეთნიკურ ტომს შორის დაიწყო დაპირისპირება.

შემდგომში ჩრდილოეთ ოსეთში საბჭოთა სპეცსამსახურები, უმთავრესად ოსები, შეგნებულად ახდენდნენ ოსურ-ინგუშთა დაპირისპირების პროვოცირებას. ეს კეთდებოდა კარგად ცნობილი პრინციპის შესაბამისად: „დაჰყავი და იბატონე“ იმისთვის, რომ დაძაბულობაში ჰყოლოდათ ორი ხალხი, აეძულებინათ ოსებიც და ინგუშებიც ნებისმიერ საკითხზე მიემართათ საბჭოთა პარტიული ორგანოებისათვის.

არაფერი ამის მსგავსი საქართველოში არ ყოფილა, უფრო მეტიც, კახეთის პანკისის ხეობაში მშვიდობიანად მეზობლობდნენ ოსებისა და ჩრდილოეთი კავკასიის ეთნიკური ნათესავების ინგუშების დასახლებანი. მათ შორის არ ყოფილა არანაირი კონფლიქტი და სუფევდა სრული ურთიერთგაგება.

ამ დროს, 1981 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ვლადიკავკაზში უცნობებმა მოკლეს ოსი ტაქსისტი და სპეციალურად გააბუქეს ხმები იმის შესახებ, რომ იგი მოკლეს ინგუშებმა. ორივე ეთნოსის წარმომადგენლებს შორის დაიწყო შეტაკებები. ვლადიკავკაზში ადგილი ჰქონდა უწესრიგობას და აღელვებული ბრბოების დაშოშმინებას პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ.

მასში ბევრმა ოსმა ვლადიკავკაზში თითქმის აშკარად დაიწყო გამოსვლა თავისი რესპუბლიკის მიერთების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკასთან. ისინი არა მხოლოდ იხსენებდნენ, თუ როგორ ზრუნავდა საქართველოს მოსახლეობა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, ამავე დროს საუბრობდნენ, რომ საქართველოში არ არსებობს არანაირი ეროვნული დაპირისპირება.

სხვათა შორის, არ იყვნენ წინააღმდეგნი შესულიყვნენ საქართველოს შემადგენლობაში თავისი მიწებით ინგუშებიც. მით უმეტეს, რომ მათ ახსოვდათ, რომ საქართველოს სსრ ხელმძღვანელობამ 1944 წელს დაიცვა მათი თანამოძმენი ქისტები და ბაცბელები დეპორტაციისგან.

ამრიგად, არც ისე დიდი ხნის წინათ – 1981 წელს, ოსების ლამის უმრავლესობა, მიიჩნევდა, რომ საქართველოს შეუძლია, დაამყაროს ოსურ მიწებზე წესრიგი და არ დაუშვას დაპირისპირება სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებს შორის.

გასაგებია, რომ ეს განწყობილება მიდიოდა მოსკოვში პარტიულ ხელმძღვანელობამდე. სწორედ მაშინ – 80-იან წლებში – მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმისთვის, რომ არ დაუშვან ქართული გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ ხელოვნურად გააჩაღონ ანტიქართული და ქართულფობიური განწყობილება ოსებს შორის, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში. მაშინ დაიწყეს ხელოვნური სეპარატიზმის გაჩაღება სამხრეთოსეთელთა შორის.

ამ სეპარატისტულმა მუშაობამ მკვეთრი ბიძგი მიიღო მას შემდეგ, რაც გააქტიურეს თავისი შავი საქმე სომეხმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც დაიწყეს სომეხთა შორის საუბარი სომხეთისათვის აზერბაიჯანული მთიანი ყარაბაღის შეერთების შესახებ. ამის პარალელურად და ანალოგიურად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა და პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოსკოვში დაიწყო ოსური სეპარატიზმის გაღვივება ცხინვალის რეგიონში, რამაც შედეგად მიგვიყვანა ამჟამინდელ ტრაგიკულ მდგომარეობამდე.

თუმცა მეგობრობის, ძმობისა და ოსების საქართველოსკენ მიდრეკილების გრძნობა შენარჩუნებული იქნა. ამიტომ არის იმედი, რომ ოსი ხალხი თანდათანობით მიხვდება, რომ მისი მომავალი, სულიერადაც და მენტალურადაც, ახლოა ქართველებთან, საქართველოსთან. თუ აღდგება ოსების საქართველოს სახელმწიფოსთან ისტორიული ერთიანობა – ეს მხოლოდ სარგებელს მოუტანს ოს ხალხს, დაიცავს მის თვითმყოფადობას, საშუალებას მისცემს განავითაროს თავისი უნიკალური კულტურა.

Kavkazplus.com

დედამიწის ზურგზე

თურქეთში აფეთქდა სამხედრო ბაღრაგი: 7 კაცი დაიღუპა

აფეთქების ხმა გაისმა გზატკეცილზე, რომელიც ქალაქ დიარბაკირს და ლიჯეს რაიონს ერთმანეთთან აკავშირებს. ზოგიერთი მონაცემებით, აფეთქდა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა.

აშშ რაკეტსანინააღმდეგო თავდაცვას მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია დაიცვას ქვეყანა სარაკეტო დარტყმისგან!..

ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ წარმოაჩინა მხოლოდ „დაცვის უმნიშვნელო უნარი ჩვეულებრივი ბალისტიკური რაკეტების მცირე ოდენობისგან“, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ექსპერტები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესიდან. მათი აზრით, სისტემა, რაზეც ათობით მილიარდი დოლარი დაიხარჯა, დამუშავებას მოითხოვს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ბარაკ ობამა ემზადება ისტორიული ვიზიტისთვის კუბაში

თუ მგზავრობა გაიმართება, ობამა გახდება პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც 80 და მეტი წლის შემდეგ ჩავა თავისუფლების კუნძულზე. წყაროების მონაცემებით, ვიზიტი გაიმართება 21-დან 22 მარტამდე. რის შემდეგაც ობამა არგენტინაში გაემგზავრება.

რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ბრალი დასდო თურქეთს ტერორისტების მომზადებაში

ბრალდება არის წერილში, რომელიც პოლიტიკოსმა გაუგზავნა მსოფლიოს ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს. ვიტალი ჩურკინის სიტყვებით, მასობრივად იბირებენ პირებს, რომლებიც ჩამოდიან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან სირიის კონფლიქტში მონაწილეობისთვის ან რუსეთის ფედერაციაში გაგზავნისათვის. მუდმივი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ დაქირავება ხდება თურქეთის სამართალდამცველების ხელშეწყობით.

შვედეთში თურქეთის კულტურის ცენტრში გაისმა აფეთქების ხმა...

საგანგებო შემთხვევა მოხდა 21:35 საათზე სტოკჰოლმიდან სამხრეთ-დასავლეთში ბუტშირკის კომუნაში. პოლიციამ ალყა შემოარტყა მახლობელ ტერიტორიებს, შემთხვევის ადგილზე არის რამდენიმე სახანძრო მანქანა და სასწრაფო დახმარების მანქანა. ინფორმაცია დაზარალებულების შესახებ ზუსტდება.

მერიის განადგურებამ და მოსალოდნელმა კორუფციულმა სკანდალმა შეიძლება, გავლენა მოახდინოს ბოლივიაში რეფერენდუმის შედეგებზე

კვირას ქვეყანაში გაიმართება სახალხო კენჭისყრა, რომელმაც შეიძლება ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს სოციალისტ ევო მორალესს მისცეს ნება, აირჩიონ მეოთხე ვადით. ამ ფონზე ქალაქ ელ-ალტოში სახელმწიფოს მეთაურის მომხრეებმა ხანძარი გაუჩინეს მერიას. ამ დროს ცნობილი გახდა მორალესის სასიყვარულო კავშირის შესახებ, რომელიც შეიძლება კორუფციული სქემა აღმოჩნდეს.

◎ გზა არსაით?

გლობალური გეოპოლიტიკური პრობლემა საქართველოსთვის

ნატო დაელოდება რუსეთის დასუსტებას, სანამ საქართველოს რაიმე კონკრეტულს შესთავაზებს...

(პირველი გვერდიდან) — „საქართველომ დიდი ხნის წინ შეასრულა ნატოს მოთხოვნები, რასაც წევრობის სამოქმედო გეგმა MAP ითვალისწინებს და იგი ამ ეტაპს მიღმა გადავიდა. ფაქტობრივად, ნატო უკვე მუშაობს საქართველოსთან, რათა ქვეყანა რამდენიმე სხვა მექანიზმის, მათ შორის ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის მეშვეობით წევრობისთვის მოამზადოს. ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2015 წლის დეკემბერში მიღებული დეკლარაცია თბილისის მიერ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესს ადასტურებს. MAP-ი ქვეყნისთვის სავალდებულო ნაბიჯი არაა, რათა მიიღოს მიწვევა. იგი 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე შემოღებულ იქნა, როგორც მექანიზმი იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს ახალ კანდიდატ ქვეყნებს მათი ჯარების რეფორმირებაში, რათა ისინი ნატოს სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

საქართველომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ალიანსის უსაფრთხოების ოპერაციებში დიდი წვლილი შეიტანა, იგი მოქმედებს, როგორც დე ფაქტო ნატოს წევრი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანას მოკავშირეები დიდად სცემენ პატივს და ენდობიან, აქედან გამომდინარე, დაბრკოლებები მზაობის ან ნდობის თვალსაზრისით არ არსებობს.

საქართველოს ალიანსში მიწვევის საკითხი არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკურია. ნატოს რამდენიმე წევრ ქვეყანას საქართველოს შესაძლო მიწვევაზე მოსკოვის რეაქცია აშინებს. 2008 წლის ომმა ეს შფოთვა გაზარდა, თუმცა ჩემი აზრით, ნატოს საქართველოსთვის 2008 წელს MAP რომ შეეთავაზებინა, მოსკოვი ორჯერ მაინც დაფიქრდებოდა, სანამ ქვეყანაში შეიჭრებოდა. ახლა სხვაგვარი ვითარებაა, რუსეთი მის სამხედრო შესაძლებლობებს სწრაფად აძლიერებს და მისი მეზობელი ქვეყნებისა და დასავლეთისთვის სულ უფრო სახიფათო ხდება. თუ ალიანსის მიერ საქართველოს მიწვევა პოლიტიკური თუ უსაფრთხოების მიზეზებით გადაიდება, ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ უნდა მოამზადოს საზოგადოება, რომელსაც ძალიან მაღალი მოლოდინი აქვს საქართველოს ნატოში მოსალოდნელ გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საზოგადოების იმედგაცრუებას შეიძლება ჰქონდეს გავლენა როგორც მთავრობაზე, ასევე საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციაზე.

— ექსპერტების მოსაზრებით, თუ ვარშავის სამიტზე არ დადგა შედეგი საქართველოსთვის, ვგულისხმობ რეალურ ნაბიჯებს გაწევრების კუთხით, რუსეთი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქვეყანაში მცოცავ ოკუპაციას ახორციელებს, კიდევ უფრო აქტიური გახდება. ეთანხმებით თუ არა აღნიშნულ მოსაზრებას?

— ვფიქრობ, დასავლეთის მხრიდან გადაუწყვეტელობის ყველა შემთხვევა კრემლის მიერ აღქმულია, როგორც სისუსტის ნიშანი. ეს საშუალებას აძლევს მოსკოვს, კიდევ უფრო აგრესიული გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მტკიცე და გადამწყვეტი გზით არ იქნება შეჩერებული, იგი საქართველოს ტერიტორიაზე „ბორდერიზაციას“ და სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიების გარშემო „მცოცავ ანექსიას“ გააგრძელებს, ისევე, როგორც არეულობის შემომტანი სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას, რასაც ის ქვეყანაში ამჟამად ახორციელებს. რუსული ჯარების რაოდენობა ამ ორ რეგიონში გაიზარდა, რათა მოსკოვმა ხაზი გაუსვას, რომ ქვეყნის ტერიტორიების ნაწილი ოკუპაციის ქვეშაა და ზეგავლენა მოახდინოს ნატოში საქართველოს შესაძლო მიწვევაზე.

— თუ საქართველო ნატოსგან ვარშავის სამიტზე კიდევ ერთხელ მიიღებს უარს, თქვენი აზრით, უნდა დაბალანსდეს თუ არა ეს საქართველოსთვის არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებით?

— ვფიქრობ, ყველაზე მცირე, რაც უნდა გააკეთოს ნატომ, საქართველოსთვის სპეციალური სტატუსის შეთავაზებაა, როგორიცაა არაწევრი მთავარი მოკავშირე. ნატოს ეგიდით გამართულ მისიებში საქართველოს თავგანწირვა ამას იმსახურებს. თუმცა ვფიქრობ, ალიანსმა თამამი ნაბიჯი უნდა გადადგას და საქართველო ნატოში უნდა მიიწვიოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანა მზად არის, არამედ იმიტომ, რომ ეს იქნება ძალიან ძლიერი გზავნილი მოსკოვისთვის, რომ კრემლის ძალებს ნატოთი მანიპულირება არ შეუძლიათ. მეორეს მხრივ, ასეთი ნაბიჯის შემთხვევაში ალიანსს საქართველოს დაცვაში ჩართვა მოუწევს, რის გასაკეთებლადაც ალიანსი სადღეისოდ მზად არაა. უფრო სავარაუდოა, ნატო დაელოდოს რუსეთის დასუსტებას, სანამ საქართველოს რაიმე კონკრეტულს შესთავაზებდეს, როგორიცაა წევრობა ან სპეციალური სტატუსი. დამაიმედებელი ისაა, რომ რუსეთის დასუსტება გარდაუვალია ომებში ჩართულობითა და ეკონომიკური კრიზისით.

— ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სარდალ ბენ ჰოდჯესის განცხადებით, „ყირიმში რუსეთს 25,000 ჯარისკაცი, სერიოზული საჰაერო თავდაცვა და შავი ზღვის ფლოტი ჰყავს განლაგებული, რომლის საშუალებითაც მოსკოვს შესაძლებლობა აქვს, დაბლოკოს აშშ და მისი მოკავშირეების წვდომა შავი ზღვის იმ მონაკვეთზე, სადაც რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი და საქართველო მდებარეობენ“. თქვენი ინფორმაციით, რა ზომები შეიძლება მიიღოს ალიანსმა ზემოხსენებულის საპირწონედ?

— ნატო ბულგარეთს და რუმინეთს საჰაერო თავდაცვის და საზღვაო ფლოტის გაძლიერებით უკვე ეხმარება, თუმცა ეს საკმარისი არაა. რუსეთის სამხედრო შესაძლებლობების ზრდა შავ ზღვაში ინტენსიური, სტრატეგიული და სწრაფია. დღეისათვის შავი ზღვის აუზის ქვეყნების კომბინირებული ძალისხმევა საკმარისი არაა, რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ყოფნას შავ ზღვაში წინ აღუდგეს. თუ ნატო და განსაკუთრებით აშშ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევენ, რეგიონში კრიზისის შემთხვევაში რუსეთი შავ ზღვაზე ნატოს წვდომას დაბლოკავს. აღნიშნული უკრაინას და საქართველოს განსაკუთრებით დაუცველ პოზიციაში ტოვებს. მოსკოვი სამხედრო წარმომადგენლობას ყირიმში და აფხაზეთში სწრაფად ზრდის, რაც ნატოს მხრიდან გრძელვადიანი სტრატეეგიის შემუშავებას და მის სწრაფ განხორციელებას მოითხოვს, რათა წინ აღუდგეს რუსეთის მხრიდან შავი ზღვის აუზის ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას და რუმენეთის მიმართ შესაძლო აგრესიას. აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაცია არ არის იმდენად დაინტერესებული ამ რეგიონით, როგორც მისი წინამორბედები, მაგრამ მოუწევს, ეს პოზიცია შეიცვალოს, შეიძლება, შემოდგომაზე დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდეც.

მარიამ ჩუბინიძე,
„აქცენტი“

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იოსებ ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იოსებ ჩხაიძე (პ/ნ 01003017562), თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპუსი 2, ბინა №119.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპუსი 2, სართული 9, ბინა №119 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.002.004.01.119).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია იჯარის და ქირავნობის უფლებები.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23414.10 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 2 მარტი, 12:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** იოსებ ჩხაიძე (პ/ნ 01003017562), თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპუსი 2, ბინა №119.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 მარტის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ინფორმაცია

თურქეთი მხარს უჭერს ნატოში საქართველოს ინტეგრაციას

„ბრ არსებობს მინისტერიალი, ან რამე ფორმალური ან არაფორმალური შეკრება ნატოს ფარგლებში, სადაც თურქეთის ორივე მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრიც, ცალსახად არ აყენებდეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „მთავარში“ სტუმრობისას.

თინათინ ხიდაშელს გადაცემის წამყვანმა შეკითხვა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუს იმ განცხადების შესახებ დაუსვა, რომლის თანახმადაც, ნატოს სამიტზე თურქული მხარე საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს დასვამს.

„ბატონი მევლუთი საქართველოს ძალიან დიდი ხნის მეგობარია. ის ჯერ კიდევ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან იცავდა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს და მე მხოლოდ მადლობა შემიძლია ვუთხრა მას ამისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრად სულ რამდენიმე დღის დანიშნული იყო ანტალიის სამიტის წინ და გვახსოვს ყველას მისი ძალიან მკვეთრი განცხადებები, რომ შემდეგი სამიტის ადგილი უნდა იყოს თურქეთი და შემდეგი სამიტი უნდა იყოს საქართველოზე ნატოს გაწევრიანების სამიტიო“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა და აღნიშნა, რომ თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ წარმოუდგენელი ხასიათის და მასშტაბის მხარდაჭერა გამოხატა თავდაცვის ბოლო მინისტერიალზეც.

◎ ჯიუდო

საქართველოს ნაკრები დიუსელდორფის გრან პრიზე იჭიდავებს

საქართველოს ჯიუდოს ეროვნული ნაკრების წევრები 19-21 თებერვალს გერმანიაში დიუსელდორფის გრან პრიზე გამოვლენ, სადაც მონაწილეობას მსოფლიოს 89 ქვეყნის 572 ჯიუდოისტი მიიღებს.

საქართველოს ნაკრები პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე 11 კაცით გამოვა. ნაკრების თავკაცის ირაკლი უზნაძის გადაწყვეტილებით გუნდი გერმანიაში გადახალისებული შემადგენლობით იჭიდავებს. ნაკრების ლიდერები – ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) ამჯერად დაისვენებენ. დიუსელდორფის გრან პრის გამარჯვებული 300 ქულას მიიღებს, მეორე ადგილოსანი – 180-ს, ხოლო ბრინჯაოს მედალოსანი – 120-ს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ფინალური ბლოკის პირდაპირ ტრანსლაციას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხი გადასცემს.

დიუსელდორფის გრან პრის შემდეგ მომდევნო გრან პრი თბილისში 25-27 მარტს გაიმართება. ტურნირი ახალ სპორტის სასახლეში ჩატარდება.

დიუსელდორფის გრან პრი, 19-21 თებერვალი.

19 თებერვალი: ქალები -48, -52, -57; კაცები -60, -66,

20 თებერვალი: ქალები -63, -70; კაცები -73, -81,

21 თებერვალი: ქალები -78, +78; კაცები -90, -100, +100.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დიუსელდორფის გრან პრიზე

-60კგ – ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი,

-66კგ – ვაჟა მარგველაშვილი, ბექა შავდათუაშვილი,

-73კგ – ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი,

-81კგ – გიორგი პაპუნაშვილი,

-100კგ – ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ტაველური,

+100კგ – ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი.

კობა კობახიძე

◎ გუშინ

გაიმართა ფეხბურთის განვითარების პროგრამის პრეზენტაცია

ფეხბურთის განვითარების პროგრამის პრეზენტაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ გამართა.

ფეხბურთის განვითარების გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიმდინარე თვის დასაწყისში დაამტკიცა, ხუთ წელიწადზეა გათვლილი და მისი განხორციელებისთვის სახელმწიფო ამ დროის განმავლობაში 265 მილიონ ლარს გამოყოფს.

სახელმწიფო პროგრამის მიზნები და ამოცანებია: ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; კონკურენტიანი, თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა; ქალთა და ჭაბუკთა პირველობები, რეგიონული ტურნირები, ფუტსალი, პლაჟის, ქუჩის და შშმ პირთა ფეხბურთი, სასკოლო შეჯიბრებები; საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება; კლუბების ფინანსური სტიმულირება, საბაზისო, საპრიზო და პრემიალური დაფინანსება.

* * *

ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. I რაუნდი.

„რომა“ – „რეალი“ 0:2, „გენტი“ – „ვოლფსბურგი“ 2:3.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ხუთი საფეხურით აინაცვლეს

წლეულს ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასზე პირველ ევრო-აფრიკულ ზონაში საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა (სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო ქვაცაბაია, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) სამხრეთ აფრიკისა და ბულგარეთის გუნდებს სძლია, დიდ ბრიტანეთთან კი დამარცხდა, მაგრამ ზონაში ადგილი შეინარჩუნა, თან მსოფლიო კლასიფიკაციაში ხუთი საფეხურით აინაცვლა. ამჟამად ჩვენი ქალთა ნაკრები 1486.50 ქულით 29-ე ადგილზეა.

* * *

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით WTA-ს განახლებულ რეიტინგში საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა მაჩვენებლები ასეთია:

ერთეულები. 230 (231). სოფიო შაფათავა (216), 337 (339). ეკატერინე გორგოძე (119), 407 (402). სოფიო ქვაცაბაია (83), 472 (474). მარიამ ბოლქვაძე (63), 663 (663). ოქსანა კალაშნიკოვა 930), 775 (774). თინათინ ყავლაშვილი (20), 1102 (1101). თამარ ჭალაგანიძე (7), 1214 (1212). ანა შანიძე (4).

წყვილები. 61 (60). კალაშნიკოვა 91260), 2. 140 (144). შაფათავა 9492), 192 (193). გორგოძე (349), 379 (381). ქვაცაბაია (136), 698 (701). ბოლქვაძე (40), 772 (775). ყავლაშვილი (30), 1081 (1084). ანა ახალკაცი (12), 1105 (1108). შანიძე (11), 1178 (1180). ჭალაგანიძე (9).

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები.

◎ კალათბურთი

„ჯვაროსნებს“ ზუროსი გაწვრთნის

ბერძენი სპეციალისტის ილიას ზუროსის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი საათების ამბავია. არსებული ინფორმაციით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას დღეს გეგმავს და ზუროსის პრეზენტაციაც მაშინ მოხდება.

49 წლის ბერძენი მწვრთნელი თბილისში პირველად იანვრის ბოლოს იმყოფებოდა, ამ დღეებში კი საქართველოს კიდევ ერთხელ ესტუმრა და ახალ სპორტის სასახლეში „ვითას“ და ფინური „ბაიზონისის“ მატჩს (63:77) დაესწრო, რომელიც ვთბ-ლიგის ეგიდით შედგა. ტრადიციულად, მის გვერდით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა იმყოფებოდა.

ადრევე ითქვა, რომ ზუროსთან კონტრაქტის ძირითადი დეტალები შეთანხმებული იყო, გარიგებას კი ბეჭედი მასთან კიდევ ერთი შეხვედრის შემდეგ დაესმებოდა. ახლა საორჭოფო აღარაფერია და შეგვიძლია ილიასი საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალ თავკაცად თამამად მოვიხსენიოთ.

შეგახსენებთ, რომ ნაკრებისთვის ახალი თავკაცის მოძიების საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც იგორ კოკოშკოვთან განშორება გადაწყდა. ეს უკანასკნელი ქართველ კალათბურთელთა თავკაცი 2008 წლიდან გახლდათ და გუნდი სამ ევრობასკეტზე ათამაშა, 2015 წლის ევროპის პირველობის შემდეგ კი მას სლოვენიელები დაუკავშირდნენ და იგორმაც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა.

საკალათბურთო სამყაროში არანაკლებ (თუ მეტად არა) ცნობილი კაცია ზუროსი, რომელსაც 11 მარტს 50 წელი უსრულდება. მისი სამწვრთნელო პიკი 2011 წლის მარტში იყო, როდესაც საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

სწორედ ზუროსის ხელმძღვანელობით ითამაშეს ბერძნებმა 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე, სადაც მე-2 ჯგუფურ ეტაპზე საქართველოსაც გადაეყარნენ და 73:60 სძლიეს. მაშინ ელინებმა ტრავმირებული ზაზა ფაჩულიას და გიორგი ცინცაძის გარეშე დარჩენილი ქართველები ბოლო მეოთხედშიღა „გატეხეს“ და ილიასმა იგორ კოკოშკოვს და მის გუნდს საქებარი სიტყვებიც უძღვნა.

საბოლოოდ საბერძნეთის ეროვნულმა გუნდმა მეოთხედფინალს უწია და მომავალ ფინალისტ საფრანგეთთან 56:64 წააგო, შემდეგ სერბეთს 87:77 სძლია, ლიტვასთან კი 69:73 დამარცხდა და ევრობასკეტზე მე-6 ადგილს დასჯერდა.

აღნიშნულის შემდეგ ზუროსმა პოსტზე დიდხანს ვეღარ გაძლო. მის ხელში ბერძნებმა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება ვერ მოახერხეს, რაც მწვრთნელს ძვირად დაუჯდა.

საკლუბო ასპარეზზე ზუროსის განვლილი გზა ასეთია: „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) – 2000-02, „საგესე“ (ლიბანი) – 2003-04, „ერისტერი“ (საბერძნეთი) – 2004-05, „არისი“ (საბერძნეთი) – 2005-06, „პარი-ლევალუა“ (საფრანგეთი) – 2006-07, „პანელინოსი“ (საბერძნეთი) – 2007-10, „ჟალგირისი“ (ლიტვა) – 2011, 2013, „ეფესი“ (თურქეთი) – 2012, „თოფაში“ (თურქეთი) – 2014-15.

გასული წლების განმავლობაში ილიასს ლიბანის ჩემპიონატი, ფიბა-აზიის ჩემპიონთა თასი, ლიტვის ჩემპიონატი და თასი და ბალტიის ლიგა მოუგია, 2010 წელს კი, როდესაც ათენის „პანელინოსს“ ავარჯიშებდა, ევროთასის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

ცხადია, საქართველოს ნაკრებში დანიშვნის შემდეგ ზუროსის უმთავრესი მიზანი გუნდის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ გაყვანა იქნება. შეგახსენებთ, რომ წილისყრის შემდეგ ქართველი კალათბურთელები F ჯგუფში მოხვდნენ და შესარჩევ ციკლში ჭიდილი მონტენეგროსთან, სლოვაკეთთან და ალბანეთთან მოუწევთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მშვილდოსნობა

ზამთრის მსოფლიოს თურქეთი მასპინძლობს

ანკარაში 1-6 მარტს მშვილდოსანთა მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი გაიმართება (დარბაზში 18-მეტრიან დისტანციაზე). ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრებმა ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის ახალ დარბაზში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზეს. უფროსებში თურქეთში წასაყვანი შემადგენლობები ადრევე იყო ცნობილი, ამიტომ პირველობის შედეგებს მათზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

ქალთა ფინალში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ (თბილისი) ევროპული თამაშებისა და ევროპის ზამთრის პირველობების ვიცე-ჩემპიონი, საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ხათუნა ნარიმანიძე (ხელვაჩაური) დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი იულია ლობჟანიძემ (თბილისი) ასმათ დიასამიძეს (ხელვაჩაური) აჯობა.

ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტ პაექრობაში ქუთაისელმა ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონმა ლაშა ფხაკაძემ თანაგუნდელ ჯაბა მოსეშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი. მესამე ადგილი ბათუმელ ტარიელ ქადიძეს ხვდა.

გოგონებში ნარიმანიძის ქალიშვილმა ციკო ფუტკარაძემ (ხელვაჩაური) გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე მარიკა მახარაძე (ბათუმი) და მედეა აბულაძე (თბილისი) გავიდნენ. **ბიჭებში** საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ზურაბ მესტვირიშვილი (თბილისი), 2. ანრი ბასილაძე (ხელვაჩაური), 3. ვლადიმერ დოლიძე (თბილისი).

გივი გაგუა

სურათზე: ქრისტინე ესებუა.

◎ ინტერნეტიდან

ისაბელ ფონტანას ამბიციები

უკვე თითქმის კარს მოგვადგა რიო-დე ჟანეიროში გასამართი ზაფხულის ოლიმპიადა და ამ ღირსსახსოვარი ღონისძიებისათვის ყველა თავისებურად ემზადება. თუკი სპორტსმენები გამუდმებულ ვარჯიშში არიან, გულშემატკივრები კი მედლების მოპოვების შანსებზე ფიქრით იმტვრევენ თავს, ბრაზილიელი მოდელის ისაბელ ფონტანას თავში სულ სხვა ფიქრები ტრიალებს.

ისაბელ ფონტანა ის ქალი არაა, პოპულარობის მოსახვეჭად სახალხოდ ნიფხვის რეზინის ტკაცუნი რომ სჭირდებოდეს, რამეთუ ამ დიდებულ ქალბატონს თავის დროზე რეზინიც ბევრჯერ უტკაცუნებია და რამე რომ იყოს, ახლაც არ დაიზარებს აზღუდის თავსზემოთ დატრიალებას.

მაგრამ ისაბელის ფიქრები სულ სხვა მასშტაბებზე გადის და როგორც იგი ბრაზილიელ ჟურნალისტებს გამოუტყდა, მას სურს, რომ მთელი ოლიმპიადის დედოფალი გახდეს. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი ამბიცია უნდა გქონდეს, რომ ბრაზილიაში დედოფლობა გინდოდეს. ეს იგივეა, თერჯოლაში ყველაზე მაგარი ეკალა ფხალის კეთების ამბიცია გქონდეს. როგორც თერჯოლაში და მის შემოგარენში იტყვიან: სიდან ამხელა ამბიცია, სიდან?...

როსტომ რაჭველიშვილი

სანთელი

აგული სოხაძე

სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო აკადემიამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, ინჟინერ-მშენებელი, ძველი თაობის ღირსეული აღმზრდელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამშენებლო კონსტრუქციებისა და სამშენებლო მექანიკის ღვაწლმოსილი მკვლევარი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **აგული სოხაძე**, რომლის ღრმაშინაარსიანი, 80-წლიანი ბიოგრაფიიდან ათეულზე მეტი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართველ ინჟინერთა აღზრდის საკითხებთან.

აგული სოხაძე დაიბადა 1931 წლის 25 ნოემბერს ქ. თბილისში. 1948 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1954 წელს და მიიღო ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია. შემდეგ სწავლა განაგრძო მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც აკადემიკოს ოთარ ონიაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იღვწოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში — ასისტენტად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

1967 წელს ბატონი აგული სოხაძე დაინიშნა ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორად პერსპექტიული განვითარებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში. იგი იმ დროისათვის 34 წლის იყო. იმ პერიოდში უმაღლესი განათლების აღიარებულ ცენტრს ხელმძღვანელობდა უძლიერესი ჯგუფი, რომელსაც თავისი ნიჭიერებითა და აზროვნებით ამშვენებდა აგული სოხაძეც. ეს იყო პერიოდი, როდესაც შენდებოდა ინსტიტუტის VI კორპუსი, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა — აფხაზეთსა თუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მისი თანამონაწილეობით აშენდა მრავალი ობიექტი, რომელთა მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის ბატონ აგულის კოლოსალური ენერგიის დახარჯვამ მოუწია.

მაღალი პროფესიონალიზმისათვის ბატონ აგულის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორად. ქვეყნისა და სახალხო საქმისათვის თავდადებული მოღვაწეობისათვის კი 1997 წელს იგი „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა, ხოლო 2002 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

პროფესორ აგული სოხაძის განსაკუთრებული დამსახურება აღნიშნული იქნა უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — გიორგი ნიკოლაძის მედლით. ბატონი აგულის მეცნიერულ აღიარებაზე მეტყველებს მისი არჩევა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, სადაც იგი ბრძანდებოდა მშენებლობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

პროფესორ ა. სოხაძის პედაგოგიური მოღვაწეობა ასახულია 170-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომსა თუ მონოგრაფიაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცია.

ბატონ აგულის ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიური და საინჟინრო საზოგადოება იცნობდა როგორც უაღრესად კეთილშობილ, გულისხმიერ, შეუბღალავი სახელის, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებას.

ბატონი აგული სამართლიანად ამაყოდა იმით, რომ მისმა შვილმა, ქართული ესტრადის ვარსკვლავმა ირმა სოხაძემ ფეხი აიდგა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში და შემდგომ შორს გაიტანა ეროვნული ხელოვნების სახელი და დიდება.

უდიდესი დანაკლისია ბატონი აგულის ამ ქვეყნიდან წასვლა მისი კოლეგების, მეგობრების, თანამშრომლებისა და მასზე შეყვარებული სტუდენტებისათვის.

მსუბუქი იყოს ბატონი აგულისათვის ქართული მიწა.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მადლიერი ქართველი ერის მეხსიერებაში.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის რექტორატი;
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

რეზო ამაშუკელი თანაუგრძნობს და თანადგომას უცხადებს გია თევზაძეს დედის

ვერა შუბლაძე-თევზაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ნაილი, მარინა, თინათინი, სიძეები ვახტანგ სამხარაძე, რაჟდენ ლაღაძე, და გულნარა მაღლაფერიძე, შვილიშვილები ირაკლი სამხარაძე, ანდრია ლაღაძე გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომლებთან ერთად იუწყებიან, რომ 89 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სერგო ვარლამის ძე

მაღლაფერიძე

დაკრძალვა ქუთაისში, 21 II, აღმაშენებლის ქუჩა №5.

სპარტაკ ქობულია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი, ქუთაისელ სატირიკოსთა ერთ-ერთი თავკაცი, კეთილშობილი და კოლორიტული პიროვნება, დიდებული ოჯახის მამა და ბაბუა

სერგო მაღლაფერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2016 წლის 14 აპრილს 15 საათზე შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — თამარ მეფის ქუჩა №30, გაიმართება შუახევის 220კვ-იანი ელეგაზური ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შუახევიჰესის, 220კვ-იანი ელეგაზური ქვესადგურის მშენებლობას და შუახევის ჰესის მომსახურებას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა - შუახევის რაიონი, თამარ მეფის ქუჩა №30
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ოფისი - ქ. ბათუმი, ი.აბაშიძის №6
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 44 39.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო გაგუა ტელ: 555 95 95 10
  E-mail: nino.gagua@agl.com.ge
- ვახტანგ გვახარია ტელ: 599504433;
  E-mail: v.gvakharia@gamma.ge;

მოსაზრებების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის განმავლობაში.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

◎ ჩვენი პატარები

ხეებსა და სახურავებზე „ძრომიალის“ სიკეთე

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თანამედროვე ბავშვებმა სხვადასხვა გაჯეტების ხმარება ლამის დედის მუცლიდან იციან. ამასთან, სულ უფრო მწვავედ დგება საკითხი: რამდენად ღირს, რომ ჩვენს პატარას თავისუფალი დროის დიდი ნაწილი პლანშეტთან, კომპიუტერთან ან სმარტფონთან გავატარებინოთ?

ახლანდელმა მშობლებმა, მით უმეტეს ბებია-ბაბუებმა ჩვენი ახალგაზრდობა რომ გავიხსენოთ, უთუოდ მოგვაგონდება, რომ ბალახშიც ვგორაობდით, ხეებზეც და სახურავებზეც დავძვრებოდით, იდაყვებსაც და მუხლებსაც ვიყვლეფავდით. ჩვენი უფროსების თვალთახედვით, ეს ბავშვური მოუსვენრობა, ცელქობა და, რაც სავსებით სამართლიანია, ხშირად დაუმორჩილებლობაც იყო, მაგრამ **ნეირობიოლოგთა თვალსაზრისით ეს უფრო საკუთარი სხეულის თვითშეგრძნება და შესაძლებლობათა შემეცნება გახლდათ.** ასეთი მოქმედებების დროს თავის ტვინის შუბლისწინა ქერქში ბავშვის გარე სამყაროსთან ურთიერთობათა აღქმის, საკუთარი მოძრაობების შედეგების გათვლისა და უარყოფით შედეგებთან გამკლავების მოდელები ყალიბდება. **ამ ფასდაუდებელი გამოცდილების მიღება კი ადამიანს მხოლოდ ყველაფრის საკუთარ თავზე გამოცდის შედეგად შეუძლია.** კომპიუტერთან ჯდომით და ათასნაირი თამაშის გმირებისგან ყოველივე ამის მიღება შეუძლებელია. იაპონელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ასეთ ბავშვებს თავის ტვინის შუბლისწინა ქერქი შემცირებული აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ, **სხვა თანატოლებთან შედარებით, საკუთარი შემეცნებითი შესაძლებლობები და ემოციების კონტროლის უნარი დაქვეითებული აქვთ.**

ამერიკელი ფსიქოთერაპევტის ლინდა ბაზელის აზრით, **ბავშვმა უნდა ირბინოს, ააწყოს კონსტრუქტორი, აქეთ-იქით ატაროს მანქანები და ა.შ.** ბრიტანელი ლოგოპედი სალი უორლდის გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ **იმ ბავშვების განვითარება, რომელთა საყვარელი სათამაშოები დაბადებიდანვე გაჯეტები იყო, სამი წლის ასაკისთვის თანატოლებისას ერთი წლით ჩამორჩება.**

ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეგრეთ წოდებული „წვრილი მოტორიკის“ განვითარებას, რომელზეც დამოკიდებულია წერისა და ანგარიშის უნარი, ზოგადად,

გონებრივი შესაძლებლობები. ამიტომაც იყო, რომ ბავშვებს ოდითგანვე არჩევინებდნენ ბურღულს, აძერწინებდნენ თიხისა და პლასტილინისაგან, ასწავლიდნენ კერვას, აწყობინებდნენ კონსტრუქტორის წვრილ დეტალებს. **პლანშეტების ღილაკებზე თითის დაჭერას კი წვრილი მოტორიკის განვითარებასთან საერთო არაფერი აქვს.**

ბრიტანელ პედიატრთა აზრით, სენსორული ეკრანები ბავშვებს თითებისა და მტევნების კუნთების განვითარების შესაძლებლობას არ აძლევენ. მეტიც: გაჯეტებით გატაცებულ ბავშვებს კუბიკებით თამაშიც უჭირთ და კონსტრუქტორების აწყობაც.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს.

მოამზადა
ოთარ მერიშვილმა

◎ ინფორმაცია

სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

ქობულეთში მამამ 4 წლის ბავშვი სასტიკად სცემა.

ქობულეთის სამედიცინო ცენტრის ექიმ ირაკლი ბეჟანიძის თქმით, ბავშვს სისხლჩაქცევა ორივე ბარძაყზე და თავის მიდამოებში აღენიშნებოდა.

როგორც შსს-ში განმარტავენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც 1-დან 3 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

რაც შეეხება მამის მიერ სასტიკად ნაცემ მცირეწლოვან ბავშვს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ის სოციალური აგენტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

რეკლამა
293–37–87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცხოველთა ქვეყანა დედაქალაქში

„ფაუნალენდი“: შედი და შეეხე...

მეტად უჩვეულო და სასიამოვნო საჩუქარი მიიღეს 17 თებერვალს პატარა თბილისელებმა და იმათმა მშობლებმაც და ბებია-ბაბუებმაც. ორბელიანის (ყოფილი კოლმეურნეობის) მოედნის მიმდებარედ, ათონელის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრ „კარფურის“ შენობის მესამე სართულზე საქართველოში პირველი კონტაქტური ზოოპარკი „ფაუნალენდი“ („ცხოველთა ქვეყანა“) გაიხსნა.

ჩვეულებრივი ზოოპარკისგან კონტაქტური ზოოპარკი იმით განსხვავდება, რომ მნახველებს, მათ შორის, ცხადია, ბავშვებსაც, იქაურ ცხოველთა უმრავლესობასთან უშუალო კონტაქტში შესვლა, ვთქვათ, მოფერება და საჭმლის მიწოდება შეუძლიათ, საქმეის გახლავთ, რომ ეგზოტიკურ ცხოველებთან ერთად „ფაუნალენდში“, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში დღესდღეობით დიდად პოპულარულ და ტიპურ სხვა ზოოპარკებში, იქ შინაური ცხოველებით – ქათმები, წიწილები, ბოცვრები, ბატები, იხვები, თხა და ცხვარი არიან, რომლებთან ურთიერთობა სრულიად უსაფრთხოა. თუმცა კი ისიცაა, რომ ეგზოტიკური ცხოველებიც და ფრინველებიც – სირაქლემა ემუ, ლურჯენიანი ქამელეონი, ზღვის გოჭები, რომბისებრი პითონი, გომბეშო აგა, უზარმაზარი ტროპიკული პეპლები, სხვადასხვა სახეობის თევზები, მორიელიც კი რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენენ.

– ეს ცხოველები ჩვენ, პირველ ყოვლისა, იმ პრინციპით შევარჩიეთ, რომ ისინი მნახველთათვის მაქსიმალურად უსაფრთხო იყვნენ, თუმცა კი, თავისთავად ცხადია, რომ ყველა სათანადო ზომა მიღებული გვაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ბინადარი საიმპერატორო მორიელიც კი, რომელიც თანამოძმეთა შორის ზომით ყველაზე დიდია, ამასთან ყველაზე ნაკლებად ტოქსიკურია და აგრესიული, მისი დანესტვრის ძალა ბზიკის ნაკბენზე ძლიერი არ არის, და ბევრგან ისინი სახლებშიც კი ჰყავთ, – გვითხრა „ფაუნალენდის“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა **დან ხმალაძემ**. – ამდენად, სურვილის შემთხვევაში მისი ხელში აყვანაც კი შეიძლება, ოღონდ სპეციალური ხელთათმენებით და, რა თქმა უნდა, ჩვენი მეთვალყურეობით. იმავეს თქმა შეიძლება პითონზე, კუზე, გომბეშო აგაზე, უბალნო ვირთაგვაზე.

– „ფაუნალენდში“ მაინცდამაინც ბევრი ცხოველი არ გყავთ. ეს რა, ფართობის სიმცირის გამოა?

– ცხადია, ფართობსაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ასეთი ზოოპარკების მთავარი იდეა სწორედ ის გახლავთ, რომ აქ მნახველს ცხოველთან უშუალო კონტაქტში შესვლა შეუძლია.

პირველი ასეთი ზოოპარკი, რომელიც მსოფლიოში უდიდესია და, ასე ვთქვათ, ეტალონს წარმოადგენს, სინგაპურში გაიხსნა. ჩვენი „ფაუნალენდი“ კი რუსეთის ამ ტიპის ზოოპარკების „Троготельный зоопарк“-ის ერთ-ერთი განშტოებაა, სხვა ფილიალები უკვე დიდი ხანია, მოქმედებენ დონის როსტოვში, რიაზანში, ეკატერინბურგში, ვოლგოგრადში, ყაზანში. ფილიალის თბილისში გახსნა შარშან ზაფხულში წყალდიდობის შედეგად ზოოპარკის ცხოველთა დახოცვამ განაპირობა, გვინდა პატარებსაც და დიდებსაც დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შევუვსოთ...

„ფაუნალენდში“, რომელიც დასვენების დღეების გარეშე მუშაობს, შესასვლელი ბილეთი 10 ლარი ღირს, 3 წლამდე ბავშვებისთვის შესვლა უფასოა. მნახველებს აქვე ცხოველთათვის საკვების შეძენაც შეუძლიათ, თუმცა კი თუ სახლიდან ხელს ხილს, უმთავრესად, ვაშლს ან ბანანს გამოაყოლებენ, ესეც დასაშვებია.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

დედამიწის 70 პროცენტი უკავია წყალს, დანარჩენი 30 პროცენტი კი – იდიოტებს.

* * *

სამი ცუდი ახალი ამბავი:
1. დღეს პარასკევი არ არის.
2. პარასკევი არც ხვალ იქნება.
3. პარასკევი პარასკევსაც კი არ იქნება, რადგან ეს შაბათიც სამუშაო დღეა.

* * *

სკოლის დამთავრების წლისთავზე ვიყავი. კოშმარული სანახაობა იყო: ყველანი დასიებული სახეებით, ჩაშავებული თვალებით, ლუდისგან გადმოგდებული ღიპებით!
ბიჭებს ხომ საერთოდ არ შეეხედებათ!

* * *

მაშო უხასიათოდაა, მიტოს ეანჩხლება:
– ი-ი, მიწა კი დაგაყარე, რასაი სწევხარ, ვეჟო, დილიდან გაზეთსა აშარიშურებ! ადე, ენდე, ბოსტანი მაინც მორწყი!..
– რა ბოსტანი მოვრწყა, ქალო, ხო არ შაირეკევი, ვერაი ჰხედამ, როგორი თქეშია?
– მერე რა რო თქეშია?.. შენც აიღე და ეგ ძველი პალტო მოისხი, არ დადნები, ნუ გეშინიან!..

* * *

– მოდი, ჭიჭიკია, ხომ ხარ ჩემი ძმა, ვითამაშოთ დამალობანა!
– კაი, ვითამაშოთ, ოღონდ წესები ამიხსენი.
– აი, ახლა შენ ამ ქუჩას რომ დოუყვები, ცხოვრებიდან სამიდღემჩიოდ დაგეკარგები, მე კი ვერ გიპოვი, იმიზა რომე ძებნასაც არასდროს არ დაგიწყებ. ჰოდა, შენც მოგებული დარჩები და მეც ქე ვიქნები ბედნიერად!

◎ რას არ გაიგებ!

იქ, სადაც მერცხლები დაფრინავენ...

მსოფლიოში ყველაზე დიდ, ფორმით უჩვეულო და, რაც მთავარია, უსაფრთხო პანორამულ ბორბალს 2018 წლისთვის მოსკოვში დადგამენ.

ორი საქორწინო ბეჭდის ფორმის ამ სანახაობრივი ატრაქციონის სიმაღლე 221 მეტრი იქნება, შპილთან ერთად კი – 275 მეტრი. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ამჟამად ყველაზე დიდი ასეთი ბორბალი სინგაპურშია და მისი სიმაღლეა 165 მეტრი.

მოსკოვის პანორამულ ბორბალს 36-36 კაცის ტევადობით 48 კაბინა ექნება, სრულ ბრუნს ბორბალი ნახევარ საათში შეასრულებს.

მეორე ბორბალი კი ჰორიზონტული იქნება, მასში კაფე-რესტორნები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები და ზამთრის ორანჟერეები განთავსდება.

ამჟამად ბორბლის ასაშენებელ ადგილს არჩევენ, შესაძლო ვარიანტებია მდინარე მოსკოვის ნაპირი, ბოტანიკური ბაღი ან ლუჟნიკი.

არა ოდენ ცხვირი...

ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების უმრავლესობა, სქესობრივი მოწიფულობის დასრულებასთან ერთად, ზრდას წყვეტს. ვაჟებში ეს პროცესი 18-19 წლის ასაკში მთავრდება, ქალიშვილებში – ცოტა უფრო ადრე.

თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, ბევრი რამ მემკვიდრეობითობასა და კვებაზეა დამოკიდებული. ამასთან, არის ორგანოები, რომლებიც ზრდასრულ ადამიანებშიც განაგრძობენ ზრდას. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს პროცესი ყურებსა და ცხვირზე. ამის გარდა, მთელი ცხოვრების მანძილზე ზრდის უნარს ინარჩუნებენ ხელის მტევნები და ფეხის ტერფები, მაგრამ ეს განსაკუთრებით მათ ახასიათებთ, ვინც ფიზიკურად აქტიურად შრომობს.

თუკი მილოვანი ძვლები გარკვეულ ასაკში ზრდას წყვეტენ, ტუჩოვანები ამ პროცესს განაგრძობენ. მაგალითად, 45 წლის ასაკში მამაკაცებში სახის ზომები გაცილებით დიდია, ვიდრე 20 წლის ასაკში (მამაკაცებს თავის ქალის ნაწილი ეზრდებათ ჰორმონ ტესტერონის, ქალებში კი ფეხმძიმობის ჰორმონ ტესტოსტერონის გამო). ხშირად ორგანოები ავადმყოფობების გამოც იზრდება: ჰიპერტონიის დროს – გული, ტყუპის ცალის დაკარგვის შედეგად – თირკმელი და სხვა.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!